საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 4 თებერვალი. 2016 წ. №21 (7913), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!...

მიშამ (კატამ) თხარა თხარაო, ჰააგის სასამართლო გამოთხარაო!

საქართველოს მიერ ჰააგაში რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი თვით საქართველოსთვისაა სახიფათო?

⑤

არავინ ფიქრობს ადამიანის სულის სიჯანსაღეზე...

როცა მდინარის სათავე მოწამლულია, ამ მდინარით მოსარგებლეთა დაავადება, დაბნეულობა, დაფანტულობა და ხშირ შემთხვევაში, ზნედაცემულობაც კი რა გასაკვირია. ⑥

ივანიშვილს ახალი პოლიტიკური კონკურენტი გამოუჩნდა, თუ ეს ვალერი გელბახიანის მოჩვენებებია?

③

⑦

ქართული კულტურის დღესასწაული

სიტყვა ვალის მოხდის მიზნით...

მთავარია ქვეყნის ეკონომიკური რესურსის სრულყოფილად ათვისება!

როგორც პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ პარლამენტში თქვა, ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პერსპექტივას ქმნის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები როგორც ჩინეთთან, ასევე შეერთებულ შტატებთან, რაც მრავალ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ჩვენ გააქტიურებას საჭიროებს.

მისი თქმით, ამ ეტაპზე სრულად არ არის გამოყენებული ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება – უნდა დადგინდეს საქართველოს შედარებითი უპირატესობები ევროპის ქვეყნებთან და მის სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებაში, გამოიკვეთოს კონკურენტუნარიანი დარგები.

პრეზიდენტის აზრით, ქვეყნის ულევი რესურსი ჩვენ ქვეყნის უნიკალურ გეოპოლიტიკურ და გეოგრაფიულ პოტენციალშია. „ტრანზიტული, ენერგეტიკული, ტურიზმის, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი ბუნებისგან გვაქვს ბოძებული, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ამ შესაძლებლობების გამოყენებისთვის მოვიცლით“ – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

მისი თქმით, უფრო აქტიურად უნდა ავითვისოთ ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა – სატრანზიტო ფუნქცია. „აუცილებელია მეტი ინფრასტრუქტურული ინიციატივა და ლოჯისტიკურ პროექტებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების აქტიური ჩართვა, ლოჯისტიკური და სასაწყობე კომპანიების მეტი ხელშეწყობა.

იხ. 2 გვ.

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.476; ევრო - 2.701;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.565;
100 რუბლი - 3.126; თურქული ლირა - 0.838;
აზერბაიჯანული მანათი - 1.587;
1000 სომხური დრამი - 5.064

ამინდი 4 თებერვლისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -4,	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +12
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +15
თბილისი:	ღამე 0,	დღე +13

ჩვენი მისამართია:

თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

◎ პრეზიდენტი პარლამენტში

სიჯყვა ვალის მოხდის მიზნით...

(პირველი გვერდიდან)

ამ მიმართულებით ჩვენ მზარდი პოტენციალი გაგვაჩნია – ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, TANAP, TAP, აბრეშუმის გზა, ტრანსრეგიონული თანამშრომლობის ისეთი პროექტები, როგორიცაა ტრანსკასპიური გაზსადენი და „ლაპის ლაზურის“ სატრანსპორტო პროექტები – უმნიშვნელოვანესი და მაქსიმალურად ასათვისებელი პოტენციალია. ამ შესაძლებლობებს ემატება რეგიონში ირანის ახალი ეკონომიკური პერსპექტივის გახსნა სპარსეთის ყურისა და ევროპის თანამშრომლობისათვის. ამ ინიციატივების რეალიზაციაშიც საქართველოს საკვანძო როლი ენიჭება“...

* * *

ერთი მხრივ ეკონომიკური განვითარება, მეორე მხრივ კი ეკოლოგიისა და კულტურის დაცვა არასდროს ქმნიან დაუძლეველ დილემას. ჩვენი ბუნებისა თუ კულტურული სივრცის დეგრადირების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, რომ ყოველი ახალი საინვესტიციო წინადადება აკმაყოფილებდეს საქართველოსა და ევროკავშირის სტანდარტებს გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში“, – განაცხადა პრეზიდენტმა. სწორედ ეკონომიკური განვითარება მოგვცემს შესაძლებლობას ვიზრუნოთ ჩვენს მოქალაქეებზე და შევინარჩუნოთ ადამიანზე ორიენტირებული საბიუჯეტო პოლიტიკა, ვუპასუხოთ ჩვენი კონსტიტუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ევროპული სტანდარტის პოსტულატს, რომ მიზნად ვისახავთ „სოციალური“ სახელმწიფოს შენებას.

„უნდა დავხვეწოთ საბიუჯეტო სახსრების კიდევ უფრო ეფექტიანად გამოყენება, მათ შორის სოციალური მხარდაჭერის დიფერენცირების გზით, უნდა განვავითაროთ სოციალური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემა, გავაგრძელოთ საპენსიო რეფორმა“, – თქვა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებისა და განვითარების თვალსაზრისით, სასამართლო სისტემას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და აცხადებს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობას მყარი სამართლებრივი საფუძვლები და ნება ესაჭიროება.

მისი განცხადებით, სასამართლო სისტემაში განსაკუთრებული დატვირთვა მთავარ სუბიექტს – მოსამართლეს აკისრია. შესაბამისად, მისი შერჩევის პრინციპები და პროცედურები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

„მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში, მთელ ჩემ შესაძლებლობებს ვიყენებ სასამართლოს გასაძლიერებლად.

ჩემს მიერ ამ სფეროში განხორციელებული საკადრო პოლიტიკა, შერჩეულ მოსამართლეთა პროფესიულ რეპუტაციასა და შეუბღალავ ავტორიტეტზეა დაფუძნებული.

პრეზიდენტი სამწუხაროს უწოდებს იმ ფაქტს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რიგ გადაწყვეტილებებზე, რომელიც სასამართლო ხელისუფლების დაკომპლექტების პროცესს უკავშირდება, საზოგადოების მხრიდან სამართლიანად ისმის საფუძვლიანი კითხვები.

სასამართლო სისტემის გაჯანსაღება და გაძლიერება უნდა გაგრძელდეს. საამისოდ გთავაზობთ რამდენიმე ინიციატივას:

● დაინერგოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა „გამოსაცდელი“ ვადით გამწესებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმი;

● შეიცვალოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების მექანიზმი იმგვარად, რომ საბჭოში პროპორციულად, სამი წევრით იყოს წარმოდგენილი სასამართლოს ყველა ინსტანცია.

● მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნისა და დაწინაურების პროცესში უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მიეცეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის რეკომენდაციების მიცემის უფლება,

● გაძლიერდეს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციები სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და მართლმსაჯულების კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლების მიზნით“.

მე ვხედავ საქართველოს არა როგორც სტუმარს ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში, არამედ როგორც ამ ერთობის სრულფასოვან წევრს

„გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ჯერ კიდევ გასავლელია! ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, თავისუფლებისათვის ბრძოლა კი გრძელდება“, – ასე დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს პარლამენტის წინაშე მისი მესამე, ყოველწლიური გამოსვლა.

„წელს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავს აღვნიშნავთ. დამოუკიდებლობა სხვისგან გათავისუფლებას ნიშნავს, თავისუფლება კი საკუთარი გზის გაკვალვას გულისხმობს, სწორედ ესაა ჩვენი ისტორიული მიზანი. ჩვენ უნდა შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც არამარტო პოლიტიკურად დამოუკიდებელია, არამედ პოლიტიკურად თავისუფალიც. ეს არის სახელმწიფო, სადაც გარანტირებულია თითოეული მოქალაქის პოლიტიკური და სოციალური უფლებები, ეს არის ერთობა, სადაც ბატონობენ კანონები და არა ადამიანები“, –განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

„ევროპელობა ჩვენი ისტორიული გზის გაგრძელებაა. ამ გზას ადგნენ ჩვენი წინამორბედებიც: ამ გზაზე ამბობდა ნოე ჟორდანია „მომავლის არ გვეშინია“, ამ მიზანს სახავდა ზურაბ ჟვანია – „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, ამ გზაზე, მე ვხედავ საქართველოს არა როგორც სტუმარს ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში, არამედ როგორც სრულფასოვან წევრს ამ ერთობისა“.

პრეზიდენტის განცხადებით, პროდასავლური საქართველოს მთავარ ამოცანას დღეს დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობა წარმოადგენს.

* * *

ქვეყნის უსაფრთხოების პრიორიტეტად პრეზიდენტი ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ასახელებს

საქართველოს პრეზიდენტი მხარს უჭერს ეროვნული უშიშროების საბჭოს მოთხოვნას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლების შესახებ და ამის მიზეზად განვლილი წლის მანძილზე გართულებულ უსაფრთხოების გარემოს ასახელებს.

საქართველოს უსაფრთხოების პრიორიტეტად პრეზიდენტი ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ასახელებს.

„ჩვენ გამოვიყენებთ ნატოს მიერ მოცემულ ყველა ინსტრუმენტს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და გავაძლიერებთ ძალისხმევას საქართველოს ალიანსში გასაწევრებლად“, –განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის განცხადებით, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, საქართველო გაგრძელებს აქტიურ ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ. როგორც საერთაშორისო მისიებში, ასევე ქვეყნის შიგნით აქტიური პრევენციული პოლიტიკით და პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

* * *

სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ენერგოუსაფრთხოების თემაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს:

„რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური და განსაკუთრებით ენერგოთანამშრომლობა რბილი ძალის ნაწილია. მიწევს გავიმეორო – „გაზპრომი“ არ არის მხოლოდ ენერგეტიკა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, რუსეთი ეკონომიკურ ბერკეტებს პოლიტიკური მიზნით იყენებს. ამიტომ გაზპრომთან მოლაპარაკებები ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მანდატით, დადგენილი წითელი ხაზების ფარგლებში გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს.

კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებთა პირობებით ევროკავშირი დაინტერესდა

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა კიასტუტის იანკაუსკასმა და მისიის რეგიონალური ოფისის უფროსმა გაბრიელ ვონ ჰორნიმ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ედიშერ თოლორაიასთან შეხვედრისას კონფლიქტისპირა სოფლებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს.

მისიის წარმომადგენლები ბოლო სამი წლის მანძილზე მოსახლეობის ეკონომიკური ფაქტორებით დაინტერესდნენ. ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, ასევე რუხის ადმინისტარციულ ერთეულში სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და მისი ფუნქციური თვისებები და ხელმისაწვდომობა კონფლიქტის ზონიდან გადმოსული ხალხისთვის. დიალოგის ფორმატში ჩატარებულ შეხვედრაზე 2013 წლიდან დღემდე შესრულებულ პროექტებზე დეტალურად ისაუბრეს.

„უახლოეს პერიოდში 6 მილიონი ლარის ღირებულების გზების მშენებლობაა დაგეგმილი. რეკონსტრუქცია გავუკეთეთ და ახალი სიცოცხლე შევმატეთ ისეთ საერთო საცხოვრებლებს ონარიის დასახლებაში, რომლებიც 100 წელზე მეტს ითვლის, მაგრამ მე მაინც არ შეიძლება ამით კმაყოფილი ვიყო, ამით თავს არ ვიმშვიდებ. სასიცოცხლოდ აუცილებელი პროექტები მაქვს დაგეგმილი და ჩემი გამგებლის თანმდებობაზე ყოფნის მანძილზე მინდა ყველა მოვასწრო“, – განაცხადა ედიშერ თოლორაიამ.

ნორვეგიული ორაგული ქობულეთში მოშენდება...

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და ნორვეგიული კონსორციუმის „Green Sea Food“ წარმომადგენელმა სტეინარ გრავასმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარაში, ქალაქ ქობულეთში ინვესტიციის განხორციელება და, საპილოტე პროექტის სტატუსით, თევზის (ნორვეგიული ორაგულის) მეურნეობის მოწყობა. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და თევზის წარმოებას ბიოლოგიურად სუფთა საკვებით.

ნორვეგიული კომპანიის წარმომადგენლის სტეინარ გრავასის განცხადებით, მიუხედავად არაერთი ქვეყნის მხრიდან შეთავაზებისა, საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო აღმოჩნდა განმსაზღვრელი ფაქტორი, რის საფუძველზეც ინვესტიცია სწორედ საქართველოში განხორციელდება.

დოჩანაშვილის ახალი რომანი ზუგდიდში წარადგინეს

მწერალი გურამ დოჩანაშვილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას სტუმრობდა.

შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ქართველ მწერალს შორის „არტ უნივერსალის“ დამფუძნებლის ხატია ჯანაშიას თაოსნობით შედგა.

შეხვედრის მიზანი ახალი რომანის „ბრმადყოფილზე, და...“ გაცნობა იყო.

ქართული პროზის ახალი შედევრის პრეზენტაციას რუსთაველის თეატრის მსახიობი და თავისუფალი დასის დირექტორი ედმონდ მინაშვილი ესწრებოდა.

„ბედნიერებაა ასეთი თბილი შეხვედრა სამეგრელოში. ვგრძნობ დიდი სიყვარულს ზუგდიდელებისგან და გულითადად მინდა გავამართლო ეს სიყვარული“, განაცხადა მწერალმა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ მადლობა გადაუხადა მწერალს სტუმრობისთვის. ჯანის სიმრთელე და კიდევ უამრავი რომანებით ქართული პროზის გამდიდრება უსურვა.

„ათასწლეულის განვითარების ფონდი“ განათლების სისტემას 14 მილიონით ეხმარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, „ათასწლეულის განვითარების ფონდი – საქართველოს“ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, ქვეყნის მასშტაბით მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის განახორციელებას იწყებს. პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა, სადაც მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გააფორმეს.

14 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს საბუნებისმეტყველო, მათემატიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, გეოგრაფიისა და ინგლისური ენის მეშვიდე-მეთერთმეტე კლასის მასწავლებელთა, ასევე სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების გზით სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და სკოლის მართვის ხარისხის დახვეწას.

დასახული მიზნების მისაღწევად, ზემოაღნიშნულ საგნებში გადამზადდება 20,000-მდე მასწავლებელი და ყველა საჯარო სკოლის დირექტორი. მომზადდება სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების 2000-ზე მეტი ფასილიტატორი. პროექტი დაიწყო 2016 წლის იანვარში და დასრულდება 2019 წლის ზაფხულში.

◎ ვინ მოირგებს სპიკერის სავარძელს?

„ოცნება“ უსუფაშვილის შემცვლელს ეძებს

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაახლოებით ცხრა თვე რჩება, მმართველ გუნდს არც საარჩევნო პროგრამა მოუმზადებია, არც საარჩევნო სია დაუკომპლექტებია და პარტნიორ პარტიებთან არც კოალიციური შეთანხმება დაუდია და ამ ფონზე უმრავლესობის ზოგი წევრი მეცხრე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატს არჩევს.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე რესპუბლიკური პარტიის წევრია და არა „ოცნების“, მეორე ნაწილი კი, 2012 წელს სპიკერად დავით უსუფაშვილის დანიშვნას მის უნარ-ჩვევებს უკავშირებს და არა პარტიულ კუთვნილებას.

როგორც for.ge-ს საპარლამენტო კულუარებში განუცხადეს, პარტია „ქართული ოცნების“ დიდი ნაწილი მოითხოვს, რომ მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე „ოცნების“ წარმომადგენელი იყოს და არა რომელიმე სხვა პარტიის. წყაროს ცნობით, უმრავლესობის რამდენიმე წევრმა აღნიშნულ საკითხზე უკმაყოფილება ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთანაც გამოხატა და საკუთარი იდეის გასამყარებლად არგუმენტი მოიშველია, რომ კოალიციაში ყველაზე დიდ ფრაქციას „ქართული ოცნება“ წარმოადგენს, შესაბამისად, სპიკერიც მისი რიგებიდან უნდა შეირჩეს.

„ოცნებაში“ აღნიშნულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა რომ არის, ამას ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **გია ვოლსკი** ადასტურებს, თუმცა, დეპუტატი ამბობს, რომ დავით უსუფაშვილი სპიკერად არჩეულია არა კვოტირების მიხედვით, არამედ თავისი კარგი უნარებით. კანონმდებელი მიიჩნევს, რომ როცა საკითხი პარლამენტის თავმჯდომარეს ეხება, უმჯობესია, გადაწყვეტილება შეთანხმებული იყოს და არჩევანი ისეთ ადამიანზე გაკეთდეს, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს პასუხობს.

„ეს იქნება რესპუბლიკელი, „ოცნების“ წევრი თუ კოალიციის რომელიმე სხვა სუბიექტი, ამას მნიშვნელობა არ აქვს“, — დასძენს ვოლსკი.

დავით უსუფაშვილის პიროვნულ თვისებებზე მიანიშნებს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი.

იგი აცხადებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე კოალიციიდან უნდა აირჩიონ და თუკი, რომელიმე პარტიას უსუფაშვილზე უკეთესი ეყოლება, მას ხმას თავადაც მისცემს.

დეპუტატი ფიქრობს — ლოგიკა, რომ **„ჩვენ ბევრნი ვართ“ და „ყველა პოსტი ჩვენი უნდა იყოს“,** — სწორი არ არის.

ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ის ამ მოწვევის უწყებაში, დავით უსუფაშვილის ტოლს, სწორს და კონკურენტს ვერ ხედავს.

„ფეხბურთში, საბჭოთა კავშირის ნაკრები რომ თამაშობდა, ვინაიდან, რუსები ყველაზე მეტი იყვნენ, ამ ლოგიკით, კაპიტანი რუსი ხომ უნდა ყოფილიყო? ამ ლოგიკით, საბჭოთა კავშირმა მურთაზ ხურცილავას კაპიტნობა როგორ მოიფიქრა? — ე.ი. ყველა ლოგიკა სწორი არ არის. ლოგიკა, რომ ჩვენ ბევრნი ვართ და ყველა პოსტი ჩვენი უნდა იყოს, სწორი არ არის. იქნებ, მომავალ პარლამენტში ისეთი ვარსკვლავი შემოვიდეს, რომ უსუფაშვილი კი არა, რომელიმე ძალიან დიდი ფიგურა დაჩრდილოს. არ დაიჯეროთ, რომ საქართველო ისე გაღარიბდება, უკეთესი არ იყოს“, — დასძენს ბერძენიშვილი.

იქიდან გამომდინარე, რომ კოალიციაში კონსულტაციები არც საარჩევნო სიებზე და არც კვოტირებაზე დაწყებულა, უსუფაშვილით „უკმაყოფილო“ დეპუტატებს იმ ადამიანის დასახელება უჭირთ, რომელიც მათი აზრით, უსუფაშვილს ჩაანაცვლებს, თუმცა, იმედს არ კარგავენ, რომ „მჯობნის მჯობნი არ დაილევა“ და მეცხრე მოწვევის უწყებას სათავეში არა რესპუბლიკელი, არამედ „ოცნების“ წარმომადგენელი ჩაუდგება.

აქ საგულისხმო ერთი დეტალია. იმ შემთხვევაში, თუკი, კოალიციამ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია და რესპუბლიკური პარტიის მხრიდან კვოტების გარკვეული რაოდენობის გარდა, მოთხოვნილი სპიკერის პოსტი იქნება, საინტერესოა, „ოცნება“ რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

თეონა მანაგაძე

ივანიშვილს ახალი პოლიტიკური კონკურენტი გამოუჩნდა, თუ ეს ვალერი გელბახიანის მოჩვენებებია?

ამ დღეებში გახმაურდა, რომ ტელეკომპანია „მაესტროს“ წილების საკონტროლო პაკეტის მფლობელი მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი გია გაჩეჩილაძე გახდა. როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული ამონაწერის მიხედვით ირკვევა, გაჩეჩილაძე ამჟამად შპს „სტუდია მაესტროს“ წილების 55%-ს ფლობს.

რეესტრში 2 თებერვალს გატარებული ამონაწერის მიხედვით, აქტივების 15%-ის მესაკუთრე მამუკა ღლონტია, 5%-ის — ეკატერინე აკობია, დანარჩენი — 25%-ის კი მაკა ასათიანი. გიორგი ებრალიძემ და ლევან ჩიკვაიძემ წილის მფლობელ გიორგი გაჩეჩილძეს საკუთარი წილები — 30% გადაუფორმეს.

ამონაწერის მიხედვით „გია გაჩეჩილაძეს არ აქვს უფლება გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული 25 % წილი შპს „სტუდია მაესტროს“ კაპიტალში ყველა პარტნიორის თანხმობის გარეშე“.

გუშინ სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით არხის გენერალურმა დირექტორმა ბაია გადაბაძემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ ეს ვითარება გამოიწვია პარტნიორების ერთი ნაწილის მიერ წილების გასხვისებამ, რომლის რეალური მყიდველი ტელეკომპანია „იმედის“ არაოფიციალური მმართველი ირაკლი რუხაძე გახდა.

„მეტრონომი“ დაუკავშირდა და ინტერვიუ სთხოვა **ვალერი გელბახიანს:**

— ბატონო ვალერი, როგორც ჩანს, გამართლდა თქვენი ვარაუდები იმის შესახებ, რომ სულ მალე პოლიტიკურ ასპარეზზე პატარკაციშვილის ჯგუფი გამოვა. კერძოდ კი — ირაკლი რუხაძე და ლევან გაჩეჩილაძე. თქვენ ამბობდით, რომ მათ ხელში უკვე ორი ტელევიზია იქნებოდა — „მაესტრო“ და „იმედი“.

— დიახ, მე არათუ ვფიქრობდი, მქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რაც უკვე გაცხადდა. ეს არის პოლიტიკისთვის სამზადისი. როგორც ვამბობდი, ტელეკომპანია „იმედი“ და „მაესტრო“ უნდა იყოს პოლიტიკური პროცესების წარმმართველი იდეოლოგიურად და ინფორმაციულად. ეს იქნება ყველაზე მძლავრი იარაღი ყველა პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის, რომელსაც ეს პოლიტიკური ძალა გამოიყენებს. ამიტომ, რა თქმა უნდა, არანაირი მოვლენა უმიზეზოდ არ ხდება.

არსებობს პოლიტიკური მოტივაცია, რომ ეს ტელეკომპანიები უნდა გახდნენ პოლიტიკური ინსტრუმენტები იმ პროცესებში, რომელსაც საპარლამენტო არჩევნები ჰქვია. ასევე ირაკლი რუხაძე შეიძლება ითქვას, რომ ბადრი პატარკაციშვილის ქონების მფლობელია და ამ შემთხვევაში პატარკაციშვილების ოჯახის სახელით ის ორ ტელევიზიას ფლობს. ასევე ამბიციასაც არ მალავს. მან ვერ მიაღწია თავისას სხვა გზებით, ამიტომ ახლა ცდილობს პოლიტიკური პროცესების დახმარებით მიიღოს ის, რაც ეკუთვნის.

— რას გულისხმობთ?

— თავის დროზე, ის ბიძინა ივანიშვილთან დაახლოვდა იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი მიეღო, მაგრამ ამ შემთხვევაში ივანიშვილისგან „წყალობა“ ვერ მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ივანიშვილი ითვლება პატარკაციშვილის ოჯახის მფარველად, ისინი ახლა გახდებიან საარჩევნო კონკურენტები და ასე ვთქვათ, სერიოზული პროცესების მოწმენი გავხდებით. დიდი ფული, ტელევიზიები, რა თქმა უნდა, ეს არის განაცხადი ხელისუფლების მოპოვებისაკენ.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია მოიპოვონ მათ ხალხის მხარდაჭერა არჩევნებამდე ასეთ მოკლე დროში?

— მათ შანსი ყველა ვარიანტში ექნებათ. იმიტომ, რომ პირველ რიგში, ირაკლი რუხაძის სახელი არ არის დამოუკიდებელი სახელი. ის უკვე ასოცირდება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან. ბადრი პატარკაციშვილი ქართველი ხალხის თვალში ყოველთვის დარჩება, როგორც უსამართლოდ დევნილი ადამიანი, რომელმაც ასე ვთქვათ, თავისი სიცოცხლე ანაცვალა ამ ბრძოლას. ბადრი მეხსიერებაში უკვალოდ არ დარჩება. იმუშავებს ბადრის ფაქტორი ამ გუნდის მიმართ.

ერთ თვეში, თვენახევარში მთელი საქართველო შეიძლება აშენდეს, თუ, რა თქმა უნდა, ფული დაიხარჯება. ამიტომაც, არ მგონია, რომ ვერ მოასწრონ. ზუსტად ის მომენტია ამორჩეული, როდესაც ყველაფერს აქვს თავისი ფასეულობები.

ესაუბრა
ნინო ცხადაია

◎ ვინ მოიცლის კანონისთვის?

სამართლებრივი ხასიათის კანონები კვალიფიციურმა იურისტებმა უნდა მოამზადონ და არა ზურაბ ტყემალაძემ

გადახდისუუნარობის კანონში ცვლილებები მზადდება. პარადოქსია, მაგრამ ამ კანონში ცვლილებების ავტორია პარლამენტის წევრი ბატონი ზურაბ ტყემალაძე.

საკითხის პარადოქსულობა იმაშია, რომ ბატონი ზურაბი (პროფესიით არაიურისტი) გვევლინება ისეთი კანონის ცვლილებების ავტორად (და ინიციატორადაც), რომელიც, ძირითადად, სამართლებრივი საკითხებითაა გაჯერებული და მასში ეკონომიკური (თუნდაც ფინანსური) ნაკლებადაა.

კერძოდ, გადახდისუუნარობის კანონი, როგორც კერძო სამართლებრივი აქტი, აწესრიგებს ინსტიტუტებს რამდენიმე სამართლიდან, მათ შორის, სამოქალაქო სამართლიდან, როგორიცაა: პირები, ქონება, საკუთრება (მათ შორის, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები), მფლობელობა, ვალდებულებითი და სახელშეკრულებო სამართლებრივი საკითხები, ზიანის ანაზღაურება და სხვ. ასევე, სამეწარმეო სამართლიდან, როგორიცაა: სამეწარმეო სუბიექტები, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, ლიკვიდაცია, რეგისტრაცია და ა.შ.

საკითხის პარადოქსულობა კიდევ იმაშია, რომ ასეთი ტიპის კანონებში ცვლილებების ინიციატორი უნდა ყოფილიყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სადაც ჯერ კიდევ 2013 წლიდან შექმნილია კერძო სამართლის რეფორმის სამუშაო ჯგუფი. ხოლო, ერთ-ერთი მიმართულება სწორედ გადახდისუუნარობის კანონის ცვლილებებთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფია. ამ ჯგუფის მუშაობა დღემდე არ გახსენებიათ სამინისტროში.

ასევე, პარადოქსული ფაქტია, რომ იუსტიციის სამინისტრომ დღემდე ერთი კანონპროექტიც კი არ წარადგინა პარლამენტში გადახდისუუნარობის კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით, მაშინ, როცა საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციებით, აღნიშნული კანონი, რომელიც არ შეესაბამება ევროპული თუ ამერიკული კანონმდებლობის არც ერთ საერთაშორისო სტანდარტს, მთლიანად უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გადახდისუუნარობის ან, რაც ყველაზე მარტივია, დროებით აღდგეს გერმანულ მოდელზე აგებული, 1996 წელს მიღებული კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“.

სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში წმინდა სამართლებრივი ხასიათის კანონებისთვის ჯერ ვერავინ მოიცალა, განსაკუთრებით მათ, ვისაც უშუალოდ ეხებათ კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ხოლო ეს საქმიანობა მხოლოდ პოლიტიკური თემებითაა დატვირთული და, ძირითადად, მიმართულია, უცაბედად წამოჭრილი „მწვავე თემების ჩაქრობისკენ“.

როინ მიგრიაული,
ადვოკატი, ასოცირებული პროფესორი

◎ ინფორმაცია

კოჰაბიტაციის ლოგიკური შედეგი მურუსიძე გახლავთ

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ძალიან კარგია და ცუდი მოსამართლეების წინააღმდეგ ბრძოლაც, მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღეს ეს ადამიანები, რომლებიც დგანან ქუჩაში, არ იბრძვიან სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის. როდესაც ქვეყანაში დაიწყო კოჰაბიტაცია და ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელებიც დღეს დგანან ქუჩაში, მხარი დაუჭირეს ამ კურსს, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ კოჰაბიტაციის ლოგიკური შედეგი იქნებოდა მურუსიძე და მურუსიძის მსგავსი ძალიან ბევრი მოსამართლე, — განაცხადა უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ თოქ-შოუ „არგუმენტის დროში“.

პური მავნებელი და... „პლანეტის ბნელი გონების ნაყოფი“

საქართველოში უხარისხო, საფურაჟე ხორბალი შემოაქვთ

საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი აცხადებს, რომ პური მარგებელი კი არა, მავნებელი გახდა.

მეცნიერის აზრით, ინდუსტრიულ პურცხოებაში მომძირნეობა (რაც მეწარმეთა მხრიდან მეტი მოგების სურვილით აიხსნება) ვერ გაუტოლდება სხვადასხვა საშიშ დაავადებათა სამკურნალო ხარჯებს.

— ჩვენს ქვეყანაში ღვინისა და პურის, ამ საკრალური პროდუქტების გაუწმინდურება, ტრადიციული ტექნოლოგიების ხელყოფა მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე წარმოუდგენელი იყო. მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ჯერ ღვინის, შემდეგ პურის ტოტალური ფალსიფიკაცია. არატრადიციული ტექნოლოგიების დანერგვამ საშიშროება შეუქმნა ქართველთა მოდგმის არსებობას. არადა, ყველა დაავადება გამოწვეულია საკვებით და, ზოგადად, კვებით. დასავლეთში რატომღაც ფიქრობენ, რაც მეტ დანამატებს შეიტანენ პურში, მით უფრო გააკეთილშობილებენ ამ პროდუქტს. სინამდვილეში, პური არ საჭიროებს ხელოვნურ გაკეთილშობილებას, იგი ბუნებრივი პროდუქტია. დღეს გამოყენებული ე.წ. სწრაფი საფუარი, ხელოვნური საფუარი, საფუარის სოკოები და აქტიური ფერმენტები განპირობებენ ნივთიერებათა ცვლას, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლისგან. ასე რომ, ტრადიციული ქართული პურის წარმოება საფრთხეშია. ეს მაშინ, როცა ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში იცნობდა ხორბალს და მოჰყავდა ხორბლის რამდენიმე სახეობა —„იფქლი“, „ასლი“, „დიკა“, „მახა“, „ზანდური“, „დოლი“, „ხულოგო“. ხორბლის ამგვარი დიფერენცირებული სახეობრივი სახელწოდება არც ერთი ქვეყნის ხალხს არ გააჩნია“, — აცხადებს პაატა კოღუაშვილი.



ამასთან, ჩვენს შეკითხვაზე, შეცვლის თუ არა პურს კარტოფილი, რადგან ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში კარტოფილის მოჭარბებული მოხმარება შეინიშნება, აცხადებს, რომ დღესდღეობით პურის შემცვლელად მიღებულია კარტოფილი. საგანგაშოა ისიც, რომ ქართველი ახალგაზრდობა სწრაფი კვების ობიექტებში კარტოფილის არატრადიციულ ნაწარმს ეტანება. მართალია, პერუდან ევროპაში მეთექვსმეტე საუკუნეში იძულებით გავრცელებული ეს სურსათი „მეორე პურად“ მიიჩნევა, მაგრამ ძაღლყურძენისებრთა ოჯახის წარმომადგენლები მომწამლავი მცენარეებია. მათ მიეკუთვნება ლენცოფა, ბელადონა, ლემა, თამბაქო და კარტოფილი. კარტოფილის მიწისქვედა ნაწილში წარმოიქმნება ტუბერები, მცენარის სახეშეცვლილი ღერო, რასაც „პლანეტის ბნელი გონების ნაყოფსაც“ უწოდებენ. კარტოფილის ტუბერის მზით დასხივების შემთხვევაში, წარიმართება ალკალოიდის წარმოქმნის პროცესი, ამ დროს ტუბერი მწვანდება და მასში გროვდება მომწამვლელი ალკალოიდი სოლანინი, რაც ადამიანის სიცოცხლისათვს მეტად საშიშია. გარდა ამისა, კარტოფილის უმთავრესი ნახშირწყალი — სახამებელი ლოკალიზებულია ტუბერებში. ამ ნახშირწყლის გადახარშვა ისე ადვილად არ ხდება, როგორც ხორბლის შემთხვევაში. თუ ხორბლის პურის ჭამისას გადამუშავება ხდება კუჭსა და ნაწლავებში, კარტოფილის გადამუშავების პროცესის დასრულებაში მონაწილეობას იღებს თვით ტვინიც, განსაკუთრებით, დაკავებულია შუა ტვინი. ეს არანორმალური გარემოება უჩვეულოა ჩვენთვის.



ამდენად, პაატა კოღუაშვილი მიიჩნევს, რომ კარტოფილით ცალმხრივი კვების შედეგად ცხოვრებისეულად ნაკლებად მედეგი შთამომავლობა იბადება და, თუ ეს სასიცოცხლო ხარვეზი რამდენიმე თაობაში განმეორდება, დადგება დრო, როდესაც ადამიანი უძლური გახდება, ებრძოლოს მზარდ დეგენერაციას.

რამდენად არის დღევანდელი პური მავნებელი, ამის შესახებ შპს „ექსპერტიზა+“-ის პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს წარმომადგენელი **მზია ხარაძე** For.ge-სთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ამისთვის საჭიროა, კონკრეტული პურის ნაირსახეობის ლაბორატორიულად შემოწმება. თუ მავნებლობა დადასტურდება, მაშინ გამოიკვეთება კონკრეტული ფირმაც და ეს უკვე კრიმინალია. ზოგადად კი, მზია ხარაძე მიიჩნევს, რომ უხარისხო ფქვილი შემოაქვთ და ეს არის საფურაჟე ხორბალი.

„ვის და როგორ შემოაქვს, ვერ დაგიკონკრეტებთ. ჩვენი ხორბალი ბევრად უკეთესია, ამ დროს კი ჩვენი ხორბალი თურქეთში გააქვთ გასაყიდად და ჩვენთან შემოაქვთ საფურაჟე ხორბალი. მომიტანეთ პურის ნიმუში, ჩავატარებთ პურის ანალიზს და ამის შემდეგ გაგცემთ პასუხს“.

შპს „ექსპერტიზა+“-ის პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს თანამშრომელი **ჟუჟუნა ხომასურიძე** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ, საერთოდ, პური მავნებელი არ უნდა იყოს, რადგან ის პირველადი და ძირითადი მოხმარების საგანია. თუ პური მავნებელია და ამით იწამლება ხალხი, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. თუმცა, ხშირია შემთხვევა, როცა რუხ პურს ღებავენ, უფრო სწორად, საღებავს უმატებენ, პურს ან სინესტე აქვს მეტი, ან — საფუარი. ამიტომ რუხი პური უფრო მეტი კითხვების შემცველია, რადგან თეთრ პურს არ ღებავენ. თუმცა, დანამატებს, გამაფხვიერებლებს უმატებენ. დიდი რაოდენობით საფუარიც არ არის სასურველი, ძალზე მკაცრი დოზირებით უნდა იყოს დამატებული.

„ლაბორატორიული შემოწმების გარეშე ჩვენი მოსახლეობა ვერ გაიგებს, პური მავნებელია თუ არა. ეს შემოწმებითაც რთული დასადგენია. ჩვენთან იშვიათად მოაქვთ პური. თუმცა, უნდა შემოწმდეს ეს პირველადი სასიცოცხლო პროდუქცია და ისე გააკეთონ დასკვნები“.

მანანა ნოზაძე

ქალბატონს ხორცი მოუტანეთ, მამაკაცს - პომიდორი

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არის არაერთი სახეობის საკვები, რომელთაგან ზოგს მეტი სარგებელი ძალებისთვის, ზოგს კი მამაკაცებისთვის მოაძვს.

საქმე ისაა, რომ ქალისა და მამაკაცის ორგანიზმები ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებიან, მამაკაცებს სისხლი მეტი მოცულობით აქვთ (5-6 ლიტრი), ქალებს კი — 4-4,5 ლიტრი, თანაც ქალებს ქსოვილებში მეტი ცხიმი აქვთ — 26 პროცენტი (მამაკაცებს — 12 პროცენტი). მამაკაცებში ნივთიერებათა ცვლა უფრო სწრაფად მიმდინარეობს და სხეულის ტემპერატურაც უფრო მაღალი აქვთ. იმის გამო კი, რომ ავადმყოფობებიც არსებობს მამაკაცურიც და ქალურიც, შესაბამისად, პროფილაქტიკისთვის მათ განსხვავებული სურსათი მეტად უნდა მიიღონ.

ქალები

ქალბატონებისთვის რეკომენდებული სურსათიდან აღსანიშნავია **ხორცი** და **ცერცვი.** პარკოსნები დიდი ოდენობით **რკინას** შეიცავენ, რომელსაც, ყოველთვიურად სისხლის დიდი ოდენობით დაკარგვის გამო, ქალები განსაკუთრებით საჭიროებენ. ამის გარდა, რკინა საჭიროა იმუნური სისტემის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად და ჰორმონების სინთეზისთვის.

პარკოსანთა გარდა რკინა დიდი ოდენობითაა ხორცში, თუმცა, ის უმჯობესია, მოიხმაროთ ნაკლებად ცხიმიანი და კვირაში არაუმეტეს ორი დღისა. რკინით მდიდარია ასევე **კურაგა** და **კვერცხის გული.**

ქალები, განსაკუთრებით მოწიფულ ასაკში, ხშირად უჩივიან ოსთეოპოროზს (ძვლების მსხვრევადობას, რასაც მოტეხილობის გაზრდილი საფრთხე ახლავს). ამ სნეულების პროფილაქტიკისთვის აუცილებლად საჭიროა დღეღამეში არანაკლებ ათასი მილიგრამი კალციუმის მიღება, თუმცა კი, სტატისტიკური მონაცემებით, ქალები ამ დოზის ნახევარსაც არ იღებენ. კალციუმის განსაკუთრებით მაღალი შემცველობით გამოირჩევა **ხაჭო, იოგურტი, მაწონი.**

სოიო ქალური ჰორმონების, ესტროგენების, ანალოგებს შეიცავს. მრავალი კვლევით დადასტურდა, რომ ქალბატონებს, რომლებიც სოიოს სურსათს ზომიერად მოიხმარენ, ძუძუს ჯირკვლისა და საშვილოსნოს კიბო, სხვებთან შედარებით, 58 პროცენტით ნაკლებად უვითარდებათ. სოიოს ჩვენებურ ანალოგად **კომბოსტოა** მიჩნეული.

ცისტიტები, თირკმლის დაავადებები და შარდსადენი გზების სხვა სახეობის ანთებები ქალებისთვის ნამდვილი უბედურებაა. მათთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება კი **შტოშია,** უფრო სწორად კი **შტოშის კომპოტი** ან **მურაკი (მორსი).** მკვლევარებმა დაადგინეს, რომ შტოში დიდი ოდენობით შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უშლიან შარდის ბუშტის კედლებზე ბაქტერიების მიკვრას.

ფორთოხალი

ერთი ფორთოხალი ყველა მომავალი დედის ორგანიზმისთვის უაღრესად საჭირო ფოლიის მჟავის დღიური ნორმის 80 პროცენტს შეიცავს, რომლის უკმარისობამ, მომავალში, ბავშვის ჯანმრთელობას შეიძლება გარკვეული პრობლემები შეუქმნას. ფოლიის მჟავის სხვა წყაროებია **მწვანილი, ბოსტნეული, საზამთრო, სიმინდი, სატაცური.**

მამაკაცები

თევზი

კლინიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კვირაში ორჯერ **თევზის** მოხმარება გულსისხლძარღვთა დაავადების საშიშროებას 30 პროცენტით ამცირებს. ამიტომაც, **თევზეული მამაკაცის რაციონის საფუძველი უნდა იყოს.** აი „ტრადიციულად მამაკაცური“ სურსათი — **ხორცი** — სინამდვილეში მათთვის მაინცდამაინც დიდად რეკომენდებული არ არის. საქმე ის არის, რომ ხორცი მრავლად შეიცავს პურინულ შენაერთებს, რომლებიც მეორე მამაკაცურ სნეულებას — ნიკრესის ქარს პროვოცირებენ.

პომიდორი

ბოსტნეული მდიდარია **ლიკოპინით,** რომელიც პროსტატის კიბოთი დაავადების რისკს ამცირებს. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ლიკოპინი უკვე არსებული დაავადების გავრცელებასაც ანელებს. ლიკოპინი ორგანიზმს სხვა მამაკაცური დაავადებებისგანაც — კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებისგან იცავს. არსებობს მოსაზრება, რომ ლიკოპინს სპერმატოზოიდების კონცენტრაციის ამაღლების უნარიც აქვს.

შვრიის ფაფა

იგი ბეტა-გლუკანს შეიცავს, რომელიც სისხლში **ქოლესტერინის დონეს ამცირებს.** მასში დიდი ოდენობითაა უჯროვანაც, რომელიც ხელს უშლის ათეროსკლეროზის წარმოშობას. არსებობს მონაცემები, რომ ბეტა-გლუკანი აძლიერებს იმუნურ სისტემას.

ნიგოზი

სპეციალისტებს მიაჩნია, რომ ნიგოზი **მამაკაცის პოტენციის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა.** იგი საკმაო ოდენობით შეიცავს მთავარ (E და B) რეპროდუქციულ ვიტამინებს. ასევე მდიდარია **ცინკითა** და **მაგნიუმით,** რომლებიც ასევე დადებითად მოქმედებენ მამაკაცის რეპროდუქციულ ფუნქციაზე.

ბროწეული

მუშაობის ინტენსივობისა და ხშირი სტრესების გამო, მამაკაცებს ვიტამინების გაცილებით მეტი მოთხოვნილება აქვთ, რის სრულად დაკმაყოფილება ბროწეულის წვენს შეუძლია. ამის გარდა, ჭიქა **ბროწეულის წვენი** ხელს უწყობს პოტენციის ამაღლებასა და, ამავე დროს, წინამდებარე ჯირკვლის კიბოს წარმოშობის საშიშროებას ამცირებს.

მიშამ (კატამ) თხარა თხარაო, ჰააგის სასამართლო გამოთხარაო!

საქართველოს მიერ ჰააგაში რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი თვით საქართველოსთვისაა სახიფათო?

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო იმ სამხედრო დანაშაულთა გამოძიებას იწყებს, რომლებიც, სავარაუდოდ, 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ქართულ-რუსული სამხედრო კონფლიქტის დროს იქნა ჩადენილი. პროკურორმა ფატუ ბენსუდამ უკვე განაცხადა, რომ არის ფაქტები, რომლებითაც ორივე მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულები დასტურდება, მათ შორის წამება, მკვლელობები, ადამიანთა იძულებით გაძევება მშობლიური ადგილებიდან, ძარცვა და მშვიდობისმყოფლებზე თავდასხმა.

ამავე დროს ექსპერტმა დავით გამცემლიძემ „რადიო ფრანსე ინტერნასიონალე"-სთან ინტერვიუში განმარტა, თუ რატომ შეიძლება საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ სასამართლოში წარდგენილი სარჩელი თბილისს ისევ უკან შემოუბრუნდეს.

ფრანგული რადიოს მიერ გაშუქებული მასალის რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გვთავაზობს:

დავით გამცემლიძე: საერთაშორისო სამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით პროკურორ ფატუ ბენსუდას 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო სამხედრო დანაშაულთა გამოძიება დაევალა, ისტორიულ, მაგრამ იმავდროულად სახიფათო გადაწყვეტილებადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან არაა გამორიცხული, რომ სარჩელის წარმდგენ სახელმწიფოს, ანუ საქართველოს, ბრალდებები უკან შემოუბრუნდეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ საქართველომ არა მარტო ხელი მოაწერა რომის სტატუტს (ხელშეკრულებას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის შესახებ), არამედ ამ სტატუტის რატიფიცირებაც მოახდინა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოზე და მის მოქალაქეებზე, რომლებიც ჩაიდენენ დანაშაულს, ან ეჭვმიტანილნი იქნებიან დანაშაულის ჩადენაში, უმაღლესი მთავარსარდლიდან (პრეზიდენტიდან) დაწყებული, რიგითი კაპრალით დამთავრებული, ამ სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება.

რუსეთმა, მართალია, ხელი მოაწერა რომის სტატუტს, მაგრამ მისი რატიფიცირება არა განუხორციელებია. გამოდის, რომ რუსეთს ჰააგის სასამართლოს წინაშე არავითარი ვალდებულება არა აქვს აღებული და თანამშრომლობას მხოლოდ ნებაყოფლობითი ხასიათი ექნება, ანუ სასამართლოს უფლება არა აქვს, მოითხოვოს რუსეთის მოქალაქეების დაკითხვა. საქართველო კი, რუსეთისაგან განსხვავებით, ვალდებულია, განუხრელად შეასრულოს ჰააგის სასამართლოს ყველა მოთხოვნა და თავისი მოქალაქეების (იძულებითი) ექსტრადირებაც კი მოახდინოს ჰააგაში, სხდომაზე დასწრების მიზნით.

როცა საქართველომ სარჩელების შეტანა დაიწყო, იმედი ჰქონდა, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც ჰააგაში იქნებოდა წარდგენილი, საკმარისია იმისთვის, რომ რუსეთის გენერალიტეტი სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაში დადანაშაულებულიყო. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ჰააგის სასამართლო რუსულ მხარეს პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებს, რადგან რუსეთი ვალდებული არ არის, მონაწილეობა მიიღოს ამ გამოძიებაში და მხოლოდ მის სურვილზეა დამოკიდებული, ითანამშრომლებს მასთან თუ არა. საქართველო კი ვალდებულია, საერთაშორისო სამართლისა და რომის სტატუტის თანახმად, პროკურორს და გამომძიებლებს, მოთხოვნის შესაბამისად, ყველა სახის ინფორმაცია მისცეს და მათი განკარგულებები შეასრულოს.

სხვათა შორის, ამის მანიშნებელია ერთ-ერთი ქართველი პროდასავლელი პოლიტიკოსის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის განცხადებაც: როგორც სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა უთხრა ჟურნალისტებს ამ დღეებში, იგი გაკვირვებული კითხულობდა ჰააგის სასამართლოს ბოლო განცხადების ტექსტს, რადგან იქ საუბარია ორივე მხარის პასუხისმგებლობაზე და რაც უფრო საკვირველია, ამ ორივე მხარეში საქართველო და რუსეთი კი არ იგულისხმება, არამედ საქართველო და სამხრეთ ოსეთი. არადა, სამხრეთ ოსეთი როგორც სახელმწიფო საერთაშორისო პოლიტიკურ და სამართლებრივ რუკაზე არ არსებობს. ასე რომ, ჰააგის სასამართლომ, საეჭვოა, რომ სამხრეთ ოსეთიდან ვინმე პასუხისგებაში მისცეს და სასჯელი დააკისროს.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა იმასაც, რომ ყველა დანაშაული, მათ შორის ეთნიკური წმენდებიც მოხდა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე და ისინი, ქართული მხარის ინტერპრეტაციით, რუსეთის ჯარებმა ჩაიდინეს და რომ ჰააგის სასამართლო გამონახავს ინსტრუმენტებს რუსული მხარის პასუხისგებაში მიცემის მიზნით. მაგრამ, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ რუსეთი რომის სტატუტს არაა მიერთებული და მასზე ჰააგის სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება, ამიტომ სასამართლომ თავის განცხადებაში გადაწყვიტა მხოლოდ ის მხარე (ანუ სამხრეთ ოსეთი) მოეხსენებინა, რომლის მიმართაც პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლია — სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელები ხომ ფორმალურად საქართველოს მოქალაქეებად ითვლებიან...

— რაში გამოიხატება რუსული და ქართული მხარის ბრალდებები?

— რუსეთი საქართველოს ბრალს სდებს რუს მშვიდობისმყოფლებზე თავდასხმაში 2008 წლის 10 აგვისტოს. დადგენილია, რომ ამ თავდასხმისა და ცხინვალის დაბომბვის შედეგად, სადაც შერეული საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ბაზა მდებარეობდა (იურიდიულად მასში რუსი, ქართველი და ოსი სამხედრო კონტინგენტები შედიოდა, მაგრამ იმ მომენტისთვის ბაზაზე ფაქტიურად მხოლოდ რუსი სამხედრო მოსამსახურეები იმყოფებოდნენ), ათი რუსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა. რუსეთი მიიჩნევს, რომ ეს საერთაშორისო დანაშაულის ფაქტს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა. შესაბამისად, **მოსკოვი აცხადებს, რომ სასამართლოს ყველა მასალას აწვდის ქართული მხარისადმი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.**

თავის მხრივ, ქართული მხარე ამტკიცებს, რომ შვიდ აგვისტოს ქართველი მშვიდობისმყოფლების პოზიციის წინააღმდეგ ოსი შეიარაღებული ფორმირებების მიერ განხორციელებული სროლის შედეგად ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა. გარდა ამისა, ქართული მხარის მტკიცებით, რუსული მხარის ხელშეწყობით თუ მისი უშუალო მონაწილეობით, სამხრეთ ოსეთში არსებული ქართული სოფლების მოსახლეობის ეთნიკური წმენდა განხორციელდა. როგორც ფატუ ბენსუდამ ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში აღნიშნა, დადგენილია, რომ ქართული მოსახლეობის დაახლოებით ხუთი ათასამდე სახლია განადგურებული, ხოლო ათი ათასობით ადამიანი იძულებით გაძევეს მშობლიური ადგილებიდან. აქედან გამომდინარე, სახეზეა ეთნიკური წმენდის ფაქტები.

„Radio France Internationale"

◎ დანაშაული და დამნაშავენი

თუ გამოძიებაა, გამოძიება იყოს — რუსები კეზერაშვილსა და მერაბიშვილს ადებენ ხელს

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით რუსეთში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში ბრალდებულებად დაასახელა საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და ქვეყნის ყოფილი შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი. შესაბამისი განცხადება რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბასკირინმა „რასისკაია გაზეტასთან" ინტერვიუში გააკეთა.

საქმეში ბრალდებულების სტატუსით ფიგურირებენ ასევე, საქართველოს სამხედრო ძალების ყოფილი მაღალჩინოსნები, კერძოდ, საქართველოს სახმელეთო შეიარაღებული ძალების მეოთხე ბრიგადის ყოფილი მეთაური გიორგი კალანდაძე, სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი მეთაური დავით ნაირაშვილი და სამშვიდობო ოპერაციებში შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ყურაშვილი. რაც შეეხება ჰაგის სასამართლოს მიერ აგვისტოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას, როგორც ბასკირინი ამბობს, მას დიდი იმედი აქვს, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართება, თუმცა მისი თქმით, „ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს."

„ასე მაგალითად, სასამართლოს მიერ გამოძიების საგნად განსაზღვრულია კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, რომელიც წინასწარი დასკვნით, ჩაიდინეს არა საქართველოს სამხედრო შეიარაღებულამ ძალებმა, არამედ სამხრეთ ოსეთისამ, ამასთან ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ. ანუ, ჰაგის სასამართლომ საქმის გარემოებები ამოაყირავა და გამოძიების ფარგლებს გარეთ დატოვა სამხრეთ ოსეთის ოსური მოსახლეობის ნაწილის მასობრივი მკვლელობა და ის, რომ საცხოვრებელი ადგილი 16 ათას ოსს იძულებით დაატოვებინეს", — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარემ.

არავინ ფიქრობს ადამიანის სულის სიჯანსაღეზე...

...კაცის ბედი ხომ უცნაურია და კიდევ უფრო უცნაური ქვეყნის ბედი ყოფილა. ჩვენი ქვეყნისაზე ვჩივი, თორემ დანარჩენ სხვებს ჩვენ რას გავწვდებით... რა კარგი ქვეყანა გვქონდაო, ვინუგეშებთ თავს, სად გვქონდა, როდის... საუკუნეების მიღმა ყურებას ვერ ვიშლით, დღევანდელობას თვალს ვერ ვუსწორებთ. ცოტანი დავრჩითო, ვწუწუნებთ და იმას კი არ ვკითხულობთ, ვინ არის ან რა არის ამის მიზეზი. — ჩვენივე ხასიათი! ვერ მოვიშორეთ ერთმანეთის შური და ბოღმა.

ხან ქუჩებში, დღისით, მზისით ვცხრილავთ ერთმანეთს, ხან საკუთარ მანქანებში, ხანაც ზღვისკენ გავაქანებთ ჩვენს მსხვერპლს, ვითომ სტიქიით დაიღუპა, ხან მყუდრო ადგილებში ვუგებთ ხაფანგებს, ხან სასაფლაოებზე ვაფეთქებთ. გაიკეთა პროკურატურა თუ საგამომძიებლო ორგანოები მკვლელობების საქმეებით, ერთის გამოძიებას იწყებენ თუ არა, იქვე მეორე, უფრო მწარე და უფრო შემზარავი საქმე ჩნდება.

ეს წელიც ასე სისხლით დაიწყო, სარეველა ბალახებივით ხშირავენ ადამიანები ერთმანეთს... და ესენი ქართველები არიან, ერის სიმცირეზე რომ ვიშვიშებენ ხორაგით დატვირთულ სუფრებთან, ღვინით სავსე თასებით ხელში. ამ მოვლენებს საინტერესო ახსნას უძებნიან ქვეყნის „მოამაგე“ ოპოზიციონერები: კრიმინალმა იმატა, უნიათო მთავრობა გვყავსო!.. და იწყება დაუსრულებელი დებატები; არა, თქვენი მთავრობის დროს იყო მეტი კრიმინალური შემთხვევები, არა, თქვენ დროსო. ამ დროს ქვეყნის საქმე უკან იწევს, ამას კი არავინ დაგიდევს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მთავრობა ცდილობს უკეთესად წარმართოს და მოაგვაროს საშინაო თუ საგარეო საკითხები. აი, ახალი პრემიერი მოვიდა. თუმცა, ძველი არც ღარიბაშვილი იყო, არც არავინ ელოდა მის წასვლას ისე ერთგულად და ღონივრად წევდა ჭაპანს, მაგრამ, რა ვიცი, მოულოდნელად კი გადადგა. ხალხი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფრით ახსნა თუ რა საიდუმლო იფარებოდა ყოფილი პრემიერის ასეთ „სვლაში“. წავიდა ღარიბაშვილი და მოვიდა მდიდარაშვილი თუ კვირიკაშვილი, ამას რა მნიშვნელობა ექნება, თუ ეს უკანასკნელი იგივე ველოსიპედით დაიწყებს მოძრაობას, რაზედაც წინა პრემიერი იჯდა. ყველაზე საინტერესოა (მგონი, საღიმილოც!) პრეზიდენტის დამოუკიდებელი მოღვაწეობა. ჩვენი მთავრობა მას ისე აღიქვამს, თითქოს სხვა ქვეყნის პრეზიდენტი იყოს. ეს უკანასკნელი არ იმჩნევს, გარეგნულად არ ჩანს, რომ გრძნობდეს უხერხულობას, მაგრამ ხალხისთვის ყოველივე ეს ნამდვილად არ არის კარგი მაგალითი. პარლამენტი ცალკეა, 24 საათი ვმუშაობთ ხალხისთვისო. — ამბობენ... მუშაობენ, ხალხს კი როდის დაეტყობა მათი ნამუშევარი, ეს არის მთავარი, თორემ იმათ არა უჭირთ რა, მშვენივრად გრძნობენ თავს. ეტყობათ საქმეც რომა აქვთ, სამუშაოც არ აკლიათ, მისვლა-მოსვლა, ურთიერთობები საზღვარგარეთელ კოლეგებთან, შინ და გარეთ კარგი სმა-ჭამა, შესანიშნავად მოწყობილ-აწყობილი ოჯახები და, რაც მთავარია, შესაბამისზე ათჯერ მეტი ანაზღაურება! არც პრეზიდენტი ჰგავს ქვეყნის და ხალხის ბედით შეწუხებულსა და მათზე მზრუნველ ადამიანს, პირიქით, 2012 წლის არჩევნებზე ბიძინასადმი ხალხის პატივისცემით არჩეულები და მთავრობაში მოსულები, სულ შეიცვალნენ: გალაღდნენ, გასუქდნენ. ბევრ ჩვენგანს კი სულ სხვაგვარად ეგონა, ამ გაღარიბებული და აშლილ-დაშლილი ქვეყნის მოსავლელად და საპატრონოდ მოსულებს დიდი შრომა და ჭაპანის გაწევა მოუწევთ, საკუთარი კეთილდღეობისთვის სად ეცლებათო. გახდებიან, დასუსტდებიან შრომითო. დიახ, ასე გვეგონა, რადგანაც ასე გვპირდებოდნენ, არადა, სკამებზე რომ დასხდნენ, დაპირებები დაავიწყდათ, ხალხისთვის არა და თავიანთთვის კი მოიცალეს... ისედაც „მსუქანი“ ჯამაგირები დიდი პრემიებითა და დანამატებით „შეივსეს“, ხალხს კი დახმარებებზე (პენსიებს რომ ეძახიან), კაპიკები დაუმატეს.

ეკონომიკურ სიდუხჭირეს ამ ბოლო ათ წელზე მეტია, ფერი ოდნავადაც არ უცვლია. უმუშევრობა და მიგრაცია კვლავინდებურად მძვინვარებს. ერთი ბაზრიდან მეორეში ლუკმაპურის საშოვნელად მოხეტიალე ხალხს ნამდვილად არა აქვს იმის სურვილი და საშუალება, რომ თვალი მიადევნოს, თუ რა ხდება ზედა ეშელონებში, მაგრამ ისინი ხომ საკუთარ თავზე გრძნობენ ქვეყნის სიღარიბეს. უკვე ათეული წლებია, ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა მათი ყოფა. მიტოვებული აქვთ სახლ-კარი, მამაპაპური ადგილები, აკლდებიან სოფელს და ვერც ვერაფერს ჰმატებენ ქალაქს. და ამ დროს და ამ ფონზე საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის კინკლაობა უსაქმური, განებივრებული ხალხის „ბუტიაობას“ უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკოსთა რაიმე საქმიან პოლემიკას. იქმნება ერთგვარი დაძაბულობა, რომელიც ხალხის ფსიქოლოგიურ განწყობაზე მეტისმეტად უარყოფითად მოქმედებს. ჩვენ, საზოგადოებას, პრეზიდენტისა და პარლამენტის ერთობით, გონივრულობით და ჭკუით საქართველოს გამარჯვება გვსურს, რამდენი საორგანიზაციო საქმეა მოსაგვარებელი, რამდენი რამ გასარკვევი და გასაკვალავი... და ეს პოლიტიკური უზნეობა (სხვა რა დავარქვათ!) წაახდენს, თორემ არაფრით არ წაადგება საქმეს და გაუსაძლისი ყოფით ისედაც სასოწარკვეთილ, უკეთეს მომავალზე დაეჭვებულ ხალხს არა მხოლოდ აძაბუნებს და ხასიათს უფუჭებს, არამედ ათასეულ ოჯახებს ... ...

ქართული კულტურის დღესასწაული

— ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმის გამო —

ოპერა, როგორც დრამატული ხელოვნების განსაკუთრებული სახე, რომელშიც მუსიკა — მოქმედების განვითარების საფუძველს წარმოადგენს, წარმოიშვა XVI-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, აღორძინების ეპოქის ჰუმანური იდეების ზეგავლენით ევროპის მრავალ ქვეყანაში ისახებოდა ახალი ტიპის მუსიკალურ-თეატრალური სპექტაკლების შექმნის გზები. ეს ძიებანი ყველაზე ადრე რენესანსის კლასიკურ ქვეყანაში — იტალიაში ჩამოყალიბდა.

პროგრესული ხელოვნების საერთო აღორძინებამ და პროფესიული მუსიკისადმი საზოგადოების გაზრდილმა მოთხოვნილებამ მწვავედ დააყენა თბილისში თეატრის დაარსების აუცილებლობის საკითხი. ამიერიდან მუდმივმოქმედი თეატრისათვის ბრძოლა ნელ-ნელა იკრებს ძალას. სიახლისადმი ლტოლვა და ინტერესი ჩვენში სულ სხვა შინაგან სულიერ საზრდოდ იქცა და აი, 1851 წლის 9 ნოემბერს იტალიური დასის მიერ თბილისში პირველად დადგმული იქნა დონიცეტის ოპერა — „ლუჩია დი ლამერმური“. აქედან მოყოლებული მთელი ქვეყანა იტალიურმა მუსიკამ მოიცვა. ევროპული ცივილიზაცია თანდათან შემოდის ქართველი კაცის ცხოვრებაში და მყარად იკიდებს ფეხს. ქართველი კომპოზიტორების მიერ იქმნება არა ერთი მაღალხარისხიანი და საინტერესო მუსიკალური ნაწარმოები. გამოკვეთილი ადგილი და როლი ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას ეკუთვნის, განსაკუთრებით ოპერა „აბესალომ და ეთერის“ გამო. ოპერა-ტრაგედია, რომლის ლიბრეტო შექმნილია პეტრე მირიანაშვილის მიერ ხალხური თქმულების „ეთერიანის“ საფუძველზე, თავისი დონით და სიმაღლით ქართული მუსიკალური საგანძურის მწვერვალს წარმოადგენს. მასში ოსტატურადაა შეზავებული ქართული ხალხური მელოდია მსოფლიო კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებთან, რაც თავისთავად განაპირობებს ოპერის უდიდეს წარმატებას.

როგორც ჩვენმა მაყურებელმა უკვე იცის თბილისის ოპერისა და ბალეტის აღდგენილ თეატრის სცენაზე განახლებული სახით დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“. დადგმა ეკუთვნის გიზო ჟორდანიას, მხატვრობა გიორგი-ალექსი მესხიშვილს, დირიჟორობდა ზაზა აზმაიფარაშვილი.

ჩავუარე წმინდა ადგილად ქცეულ თეატრის ისტორიულ ბაღს, სადაც განისვენებენ ქართული საოპერო ხელოვნების ქურუმები: დიდი ზაქარია ფალიაშვილი, ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილი, ბრწყინვალე დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი და მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე. შინაგანმა განცდებმა წარმოდგენით შორეულ წარსულში გადამიყვანა, იმ დროს, როდესაც 1919 წლის თებერვალში პირველად დაიდგა „აბესალომ და ეთერი“. გონებაში ამოტივტივდა ოპერის მომაჯადოებელი ჰანგები, დამოუკიდებელ საქართველოში მუსიკალური ხელოვნების ზეიმი, ქართველი ხალხის საერთო აღტყინება და დიდი სიხარული, ვანო სარაჯიშვილისეული — აბესალომი და სანდრო ინაშვილისეული — მურმანი. თვალწინ გაიელვა ქართველი მომღერლების შესანიშნავმა თაობამ...

ამჟამად სულ სხვანაირი სახით გამოიყურება ქართული კულტურის კერა, თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი. ემოციებით და განცდებით დატვირთულს კარებში შემომეგება შენობის განახლებული ინტერიერი, ფოიე, პარტერი, იარუსები, ორტონანახევრიანი ულამაზესი ჭაღი, სცენის აღდგენილი ქობულაძისეული ფარდა. სულმოუთმენლად ველოდები დაწყებას და აი, გაისმა ოპერის მომნუსხველი მელოდია. აბესალომს მღერის თეიმურაზ გუგუშვილი, რომელიც აგერ უკვე თითქმის ორმოცი წელია, წარმატებით მოღვაწეობს თეატრში, სადაც შესრულებული აქვს უამრავი წამყვანი პარტია. მიუხედავად ასაკისა, მისი ხმა ჯერ კიდევ ახალგაზრდულად ჟღერს. აკადემიურად და მგზნებარებით შეასრულა აბესალომის ცნობილი არია, თანხვედრი იყო ანსამბლებში პარტნიორებთან და გუნდთან: — თუ არ ხარ მონაწილე იმ პროცესისა და ცხოვრებისა, რა პერიოდსაც ოპერის ლიბრეტო და შინაარსი გადმოსცემს, სულით, გულით, გრძნობით და აზროვნებით თუ არა ხარ ბოლომდე ჩართული მასში, რაიმე შედეგზე ფიქრიც კი ზედმეტია, ენით ვერ გადმოვცემ იმ ემოციებს და განცდებს, რაც მეუფლება აბესალომის შესრულების დროს, დავიღალე, მაგრამ ეს სასიამოვნო დაღლა იყო. მადლობა ყველას, ვინც ამის საშუალება მოგვცა, — ამბობს თეიმურაზი.

ეთერის პარტიას ასრულებს უკვე სახელმოხვეჭილი თამარ ივერი (ჯავახიშვილი), ვუსმენ მას და გონებაში გაცოცხლდა მამამისი, უდროოდ ამქვეყნიდან წასული ულამაზესი ბარიტონის მქონე — ავთანდილ ჯავახიშვილი. მიხარია, რომ თამარის ვოკალური ხელოვნება გასცდა ჩვენს ქვეყანას და საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა. ეთერის პარტიის დიდებულ შესრულებაში კარგად ჩანს მისი უკვე დასრულებული და გამოცდილი ოსტატის სახე.

მურმანის პარტიაში წარსდგა მსოფლიო მასშტაბის მქონე მომღერალი ლადო ათანელი (ათანელიშვილი). მისი ულამაზესი ტემბრის ხავერდისებრი დრამატული ბარიტონი გაისმის ყველგან, არაერთი ქვეყნის ცნობილ თეატრსა თუ საკონცერტო დარბაზში. ლადოს მურმანი გამოირჩევა უმაღლესი ვოკალური ჟღერადობით, არტისტიზმით და დატვირთული შინაგანი ემოციით. იგი უდავოდ დიდი მომღერალია. ეს იგრძნობა განსაკუთრებული გემოვნებით შესრულებული პარტიის ყველა მონაკვეთსა და ფრაზაში.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს ოპერაში მრავლად არსებულმა ანსამბლებმა. გამოკვეთილად და ბრწყინვალედ ჟღერდა გუნდის მომღერალთა მიერ შესრულებული ადგილები.

შესვენების დროს გავესაუბრე რამდენიმე ადამიანს

— დავით კინწურაშვილი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: „სიხარულს და ემოციას ვერ ვმალავთ! ეს არის ძალიან დიდი ეპოქალური მოვლენა ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში. ფაქტობრივად, ხელახლა დაიბადა ოპერის თეატრი. ყველა კმაყოფილებას გამოხატავს და გვილოცავს, თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი თითქმის ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობდა, რათა ეროვნული მუსიკის საგანძური —„აბესალომ და ეთერი“ ღირსეულად წარმოჩენილიყო. შედეგი სახეზეა.

დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ორგანიზაცია „ქართუს“ და ყველა მის თანამშრომელს, ვინც ასეთი შესანიშნავი საჩუქარი აჩუქა ქართველ ხალხს. თეატრი ისეთ დონეზეა მოწყობილი, მისი ყველა უბანი თუ კვანძი, რომ აქ შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მსოფლიო დონის ღონისძიებების გამართვა, საოპერო თუ საბალეტო სპექტაკლების ჩატარება.

ჩვენი თეატრის რეპერტუარი იქნება ინტერნაციონალური, დაიდგმება როგორც ქართული, ევროპული და რუსული კლასიკური, ასევე საერთაშორისო დონის თანამედროვე მუსიკალური ნაწარმოებები. ასე, რომ ოპერა გაიხსნა. ყველას ვეპატიჟებით თეატრში“.

მაია ბოლძვაძე, ხელოვნებათმცოდნე: „ჩემთვის ეს პრემიერა პირველი არ არის, თითქმის ორმოცდაათი წელი საოპერო თეატრის მსმენელი ვარ. კარგად მახსოვს მიშა თუმანიშვილის დადგმა, თავისი არაჩვეულებრივი გაფორმებით და მხატვრობით. მაშინ მთავარ პარტიებს ასრულებდნენ — მაია თომაძე და ალეკო ხომერიკი. მას შემდეგ გარკვეული დრო გავიდა. დიდი სურვილი მაქვს, კვლავ ვიხილო ისეთივე მაღალი რანგის დადგმა. „აბესალომ და ეთერი“ ხომ თავისი მასშტაბით შედარებულია ვერდის „აიდასთან“. განახლებულ თეატრს, უკვე ექვსი წელია, სულმოუთქმელად ელოდება მთელი საქართველო, ვუსურვოთ უდიდესი წარმატებები ჩვენს საამაყო საოპერო თეატრს, რომელსაც ნიჭიერი შემსრულებლები არასდროს აკლდა და არც მომავალში მოაკლდება“.

თინათინ ჰაინე, მხატვარი-სტენოგრაფი: „დიდი მოლოდინი გვქონდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ შედგებოდა არაჩვეულებრივი ზეიმი. მე იმ დროს გავიზარდე, როდესაც უოპეროდ არ შეიძლებოდა ცხოვრება. მე და ჩემი ოჯახი გარკვეული პერიოდი ყაზახეთში ვიყავით გადასახლებული. თბილისში დავბრუნდით თუ არა, იქიდან მოყოლებული არ გამოგვიტოვებია არცერთი საოპერო სპექტაკლი. ჩემთვის ყოველთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ იყო. იმ დროს თეატრში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი მომღერლები — დავით გამრეკელი, ნადეჟდა ხარაძე, გრიგოლ გეგუჩაძე, ანასტას ჩაკალიდი და სხვები. კარგად მახსოვს სპექტაკლი, რომელიც სოლიკო ვირსალაძემ გააფორმა. იგი უდავოდ დახვეწილი და დიდებული ფერთა გამის ოსტატი იყო. ფერები ერთმანეთში ჰარმონიულად გადადიოდა, როგორი გასაოცარი სტილით ჰქონდა გადაწყვეტილი წამყვანი და გუნდის მსახიობების ჩაცმულობის საკითხი. მისი მხატვრობა გულგრილს არავის ტოვებდა, იმდენად საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ეს ყველაფერი. ველოდები, რომ დღესაც ისეთივე დღესასწაული განმეორდება“.

გულბათ ტორბაძე, მუსიკათმცოდნე: „თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებული თეატრის გახსნა ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით“ უდავოდ დიდი მოვლენაა ქართული საოპერო ხელოვნების კალეიდოსკოპურ ისტორიაში. მან უკვე დიდი ხანია, მოიპოვა საერთო აღიარება არა მარტო ჩვენში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც. არაერთგზის მაქვს ნათქვამი და ახლაც გავიმეორებ, რომ როგორც ვერასოდეს შეიქმნება ახალი „ვეფხისტყაოსანი“, ვეღარ აიგება ახალი სვეტიცხოველი, ისე ვეღარასოდეს დაიწერება ახალი „აბესალომ და ეთერი“. ეს ოპერა იცოცხლებს და იარსებებს იქამდე, ვიდრე არსებობს ქართველი ერი!“

სულიერად ამაღლებული და შინაგანი ემოციებით დატვირთული ვტოვებ თეატრს. სურვილი მებადება, მთელი ძალით გადავძახო ქვეყანას და ეს საერთო სიხარული გავუზიარო ყველას.

გელა ძოძიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთი 2008 წლის ომის გამოკვლევაში არ ითანამშრომლებს

საქართველოს იუსტიციის მინისტრი ვერ გააკვირვა რუსეთის პოზიციამ

რუსეთი არ ითანამშრომლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან სამხედრო დანაშაულებათა გამოკვლევაში, რომელსაც შეიძლება საქმე ჰქონოდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის ხუთდღიანი ომის დროს. რუსეთის იუსტიციის სამინისტროს თანახმად, ამის მიზეზი არის ის, რომ რუსეთის ფედერაციამ ჯერ კიდევ არ მოახდინა რომის სტატუსის რატიფიცირება, რომელიც აწესრიგებს ჰააგის სასამართლოს საქმიანობას, თუმცა, 2000 წელს მას ხელი მოაწერა.

„2016 წლის პირველი თებერვლის მდგომარეობით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუსი რუსეთის ფედერაციის მიერ არ არის რატიფიცირებული და ძალაში არ შესულა“, — განაცხადეს რუსეთის იუსტიციის სამინისტროში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ადრე განაცხადა, რომ გაწბილებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაიწყოს გამოკვლევა მიმდინარე ბრალდებებით, რომელიც წარმოდგენილი იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ფატუ ბენსუდას განაცხადში. როგორც 29 იანვარს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რუსეთმა გადასცა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „რუსეთის სისხლის სამართლის 30 ტომზე მეტი საქმე სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის დასადასტურებლად სამხრეთი ოსეთის მოსახლეობისა და რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ“. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა, განიხილოს ბრალდებები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის სამხედროების წინააღმდეგ, რითაც, როგორც ზახაროვამ განაცხადა, „გააწბილა“ რუსეთი.

„ჩვენ ქვეყანას იმედი ჰქონდა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გახდება სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობებში სტაბილურობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ასე, სამწუხაროდ, არ მოხდა. ამასთან დაკავშირებით და უკანასკნელი გადაწყვეტილების შუქზე, რუსეთის ფედერაცია იძულებული იქნება, განიხილოს პრინციპული თვალსაზრისით საკითხი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან დაკავშირებით“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ადრე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ფატუ ბენსუდას განაცხადში გამოკვლევის დაწყების შესახებ ნათქვამი იყო, რომ იგეგმება ორი ბრალდების განხილვა: ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შესახებ სამხრეთი ოსეთის ძალებით, რუსეთის ძალების შესაძლო მონაწილეობით, და ქართველ მშვიდობისმყოფელებზე განზრახ თავდასხმის შესახებ სამხრეთი ოსეთის ძალების მხრიდან, აგრეთვე რუს მშვიდობისმყოფელებზე — ქართული ძალების მხრიდან.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მოთხოვნა ასევე შეიცავს კონფიდენციალურ დამატებას — ესე იგი „პირების ან ჯგუფების სიებს, რომლებსაც ეკისრებათ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ყველაზე სერიოზული დანაშაულებისათვის, კონკრეტული როლის მითითებით.

„ხელს არ შეუშლის გამოძიებას“

ამავე დროს სამხრეთი ოსეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ, მათი უნდობლობის მიუხედავად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ობიექტურობასთან დაკავშირებით, მაინც თანახმაა, ითანამშრომლოს ამ სასამართლოსთან.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ჰააგის პროკურორმა ფატუ ბენსუდამ ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის ოფისს განზრახული აქვს, მოაწყოს გამოკვლევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ცხინვალის რეგიონშიც, მაგრამ ამ ეტაპზე მას არ შეუძლია თქვას, მოხდება თუ არა შეთანხმება სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხზე.

„ჩვენ მივიღეთ თანხმობა გამოკვლევის წარმოების შესახებ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. როგორც ჩემი ოფისი აფასებს, შესაძლო დანაშაულებათა ჩადენის მომენტში სამხრეთი ოსეთი იყო და რჩება საქართველოს ნაწილად, ამიტომ ჩვენ უნდა მოვაწყოთ გამოკვლევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის სამხრეთ ოსეთშიც“, — განაცხადა 1 თებერვალს ფატუ ბენსუდამ.

ამავე დროს, როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა აღნიშნა, თუ ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის თანამშრომლობაზე, „ეს ხელს არ შეუშლის გამოძიებას და არ შექმნის პრობლემებს“.

შეგახსენებთ, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ვერდიქტებში პასუხისმგებლობა დანაშაულებისათვის ეკისრება კონკრეტულ პირებს და არა სახელმწიფოს.

რეაქცია თბილისში

საქართველომ განაცხადა თავისი მზადყოფნის შესახებ, „აქტიურად ითანამშრომლოს“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოკვლევის პროცესში. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ მას არ აკვირვებს რუსეთის უარი.

„რუსეთმა კიდეც რომ არ მიიღოს მონაწილეობა ამ გამოკვლევაში, ჩვენთვის არ იქნება რთული — წარვადგინოთ დადასტურებანი, მაგალითად, ეთნიკურ ქართველებთან დაკავშირებით“, — განაცხადა მან 2 თებერვალს.

თავის მხრივ ქართულმა ოპოზიციამ განაცხადა, რომ თავისი უარით — ითანამშრომლოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან — რუსეთი მხოლოდ ადასტურებს იმას, რომ 2008 წელს ჩაიდინა დანაშაული.

„თუ რუსეთის მხარეს მიაჩნია, რომ დანაშაული ჩაიდინა საქართველოს მხარემ, თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან უნდა იყოს რუსეთის ინტერესებში. თუმცა მათი ამჟამინდელი პოზიცია ადასტურებს, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში რუსეთის ბრალდებები საქართველოს წინააღმდეგ იყო მხოლოდ პროპაგანდა“, — განაცხადეს ოპოზიციურ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში, რომელიც საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის.

პროკურორი ბენსუდა აცხადებს, რომ არის გონივრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ 2008 წელს სამხრეთი ოსეთის ძალებმა ძალით გამოყარეს მათი ცხოვრების ადგილიდან 13 400-დან 18 500-მდე ეთნიკური ქართველი; განზრახ მოკლეს 51-დან 113 ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობა და გაანადგურეს ან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ეთნიკური ქართველების 5 ათასზე მეტ სახლს.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ჟენევაში სირიასთან დაკავშირებით მოლაპარაკება მკვდარი ნერგილიდან არ დაძრულა

ოპოზიციის დელეგაციამ განაცხადა, რომ სირიაში რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ჯარების ავიაგაფრენებმა შეიძლება ჩაშალოს ძალისხმევა, რომელიც ნავარაუდევია სირიის კონფლიქტის გადაწყვეტისათვის. ამის შესახებ განაცხადა მოლაპარაკების იმ უმაღლესი კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელიც ჩამოაყალიბა ოპოზიციამ საუდის დედაქალაქში.

პოროშენკოს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციასთან ღია ომის საფრთხე გაიზარდა

უკრაინის პრეზიდენტის სიტყვებით, ამჟამად „უკრაინის ტერიტორიაზე რვა ათასი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი იმყოფება“, საზღვარზე კი შეიქმნა ახალი სამხედრო ბაზა. სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, რუსეთელთა ორი მესამედი მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკას უკრაინასთან დაკავშირებით.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მოუწოდა, უარი თქვას კავშირგაბმულობის თანამგზავრის დაგეგმილ გაშვებაზე

სინძო აბეს აზრით, რაკეტის გაშვება თანამგზავრით, ფაქტობრივად, წარმოადგენს დიდი სიშორის ბალისტიკური რაკეტის გამოცდას, რომელიც არღვევს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას. იაპონიის თავდაცვის მინისტრმა უბრძანა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებს, მოემზადონ იმისთვის, რომ ჩამოაგდონ ჩრდილოეთი კორეის რაკეტა.

სამხრეთი კორეა ემუქრება ჩრდილოეთს...

„ბალისტიკური რაკეტების ტექნოლოგიების გამოყენება იქნება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის აშკარა დარღვევა“, — აფრთხილებს სეული. ეს განცხადება გაისმა უშიშროების საბჭოს მოწვევის შემდეგ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გეგმებთან დაკავშირებით — გაუშვას ამ თვეში რაკეტა თანამგზავრით.

პაბარა სახელმწიფო ასადისათვის

რომში ჟურნალისტების წინაშე გამოსვლის დროს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფილიპ ჰემონდმა განაცხადა: მართლა აპირებს რუსეთი შეუერთდეს მშვიდობიან პროცესს, თუ იგი იყენებს მშვიდობიან პროცესს, როგორც ლეღვის ფოთოლს, ცდილობს, დაეხმაროს ასადის რეჟიმს გაიმარჯვოს სამხედრო გზით, რაც მიგვიყვანს მინი სახელმწიფოს შექმნამდე სირიის ჩრდილო-დასავლეთში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აღრიცხეს ზიკის ვირუსის გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე

დალასის ოლქში დააფიქსირეს ადამიანის დაავადების შემთხვევა სექსუალური კონტაქტის შედეგად იმ ადამიანთან, რომელიც ადრე დაავადდა ვენესუელაში მოგზაურობის დროს. ეს არის პირველი შემთხვევა ზიკის ციებ-ცხელებით ადამიანის დაავადებისა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

იტალიელი მსახიობი ინსცენირებული ჩამოხრჩობის შემდეგ კომაში ჩავარდა

27 წლის რაფაელ შუმახერი განასახიერებდა პერსონაჟს, რომელიც თვითმკვლელობას ახორციელებს. რაღაც მიზეზის გამო, შემაღლებული ადგილი, რომელზეც უნდა მდგარიყო იგი კისერზე ბაწრით, აღმოჩნდა გადაწეული. ამას გარდა მსახიობს არ ჰქონდა გაკეთებული უშიშროების სპეციალური ქამარი.

◎ წიგნი დიდ მეცნიერზე

კაცი, რომელსაც „ჭირვეული ქალბატონისთვის“ არასოდეს არ უღალატია

მათემატიკა იმ ჭირვეულ ქალბატონს ჰგავს, რომელიც ღალატს არ პატიობსო – ეს ფრთიანი გამონათქვამი თავისი ცხოვრების კრედოდ ჰქონდა არჩეული თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოჩენილ მათემატიკოსს, საქართველოში მათემატიკის ახალი მიმართულების – უსასრულო განზომილებიან ვექტორულ სივრცეში ალბათობის თეორიის დამაარსებელს, აკადემიკოს **ნიკო ვახანიას.** ბატონი ნიკო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არასოდეს ღალატობდა „ამ ჭირვეულ ქალბატონს“.



არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა დიდი მეცნიერის ბედი და ამასთან ერთად საქართველოში და მაშინდელ საბჭოეთში უზუსტესი მეცნიერების – მათემატიკის განვითარებისა და ახალი ნოვაციების დამკვიდრება, რომ არა ცნობილი მათემატიკოსი ბიბი ქარცივაძეს ხელშეწყობა და რჩევა – ფიზიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი ნიკოლოზ ვახანია უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი რომ გამხდარიყო. მათემატიკის სიყვარული, დაუღალავი შრომა, დიდი ენერგია, სწორედ ეს იყო საწინდარი იმისა, რომ ბატონ ნიკოს „ლომონოსოვის უნივერსიტეტის“ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გაევლო ასპირანტურის სრული კურსი აკადემიკოს სერგეი სობოლევის ხელმძღვანელობით, გამხდარიყო მისი საყვარელი და საუკეთესო მოსწავლე, შემდეგ თავად, უკვე ცნობილ მათემატიკოსს ჰყოლოდა უამრავი შეგირდი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, 27 წელი ეხელმძღვანელა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისთვის, თავის მშობლიურ უნივერსიტეტში ყოფილიყო მსოფლიოს უძლიერეს მათემატიკოსთა მასპინძელი, გამხდარიყო 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათემატიკაში კლასიკური ალბათობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აღეზარდა მეცნიერების თორმეტი კანდიდატი და ოთხი აკადემიკოსი, უამრავი მათემატიკოსი.

მადლიერმა მოსწავლეებმა დიდი მეცნიერის ხსოვნის უკვდავსაყოფად (ბატონი ნიკოლოზ (ნიკო) ვახანია 2014 წელს გარდაიცვალა 84 წლის ასაკში) შესანიშნავი წიგნი გამოსცეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის **მარინა მენთეშაშვილის** რედაქტორობით. ერთ კრებულშია თავმოყრილი მეგობართა, მოსწავლეთა, მსოფლიოს წამყვან მათემატიკოსთა მოგონებები, მილოცვები, თავად ბატონი ნიკოს მიერ დიდი სიყვარულით მიძღვნილი ჩანაწერები კოლეგების მიმართ, ისტორიული ფოტომასალა.

ხალხის დიდი სიყვარულის გარეშე დიდი მეცნიერის შემოქმედება ვიწრო სპეციალობად რჩება – გასაგები მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისათვის. ბატონი ნიკოს შემოქმედება-მოღვაწეობა კი დასტურია იმისა, თუ როგორ უყვარდათ და აფასებდნენ არამარტო მის ნიჭიერებას, არამედ პიროვნულ თვისებებს, ოჯახიშვილობას, ქართული ტრადიციების ერთგულებასა და გულუხვობას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ყველა კუთხეში. გასაკვირიც არ არის, რადგან ბატონი ნიკო გახლდათ საბჭოთა კავშირიდან პირველი მათემატიკოსი, რომელიც სამეცნიერო სამუშაოების ჩასატარებლად ხანგრძლივი მივლინებებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში.

არ შეიძლება არ შეგძრათ კრებულში მოყვანილმა იმ სამგლოვიარო ტექსტებმა, დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ უამრავმა მეცნიერმა და აკადემიკოსმა რომ გამოგზავნეს საქართველოში და თანაგრძნობა გამოხატეს ქართველი ხალხის მიმართ. აქ მხოლოდ ერთ მათგანს მოვიყვან – **„არ მსურს დავიჯერო, რომ ჩვენი მასწავლებელი გარდაიცვალა. ეს შეუძლებელია“ – ნგზუენ ზუი ტიენი.** დიახ, ცნობილი ვიეტნამელი მათემატიკოსის ერთ წინადადებაში ჩატეული აღმოსავლური სიბრძნე დასტურია იმისა, რომ დიდი ადამიანები არ კვდებიან.

სიცოცხლე გრძელდება ბატონი ნიკოლოზის შთამომავლების სახით. ქართული მათემატიკური სკოლის სახელი კი დიდი მეცნიერის ვაჟებს გააქვთ მსოფლიო სარბიელზე – **ზურაბ ვახანია** მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატი და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიის პროფესორი ორმოცზე მეტი სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი გახლავთ. **ნოდარ ვახანია** კი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი და მექსიკის კვერნავაკას უნივერსიტეტის პროფესორია.

მამუკა ვაშაკიძე

◎ ინფორმაცია

სკოლის გაცდენების რაოდენობა მკვეთრი კლებისკენ მიდის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით, სკოლებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მონიტორინგს უწყვეტად აგრძელებს.

2 და 3 თებერვალს განხორციელებული მონიტორინგის თანახმად, ავადობის გამო, სკოლის გაცდენების რაოდენობა მკვეთრი კლებისკენ მიდის. თუმცა, გამოკვეთილია რამდენიმე სკოლა, სადაც ორ დღეში 20%-ზე მეტი გაცდენების რაოდენობა დაფიქსირდა. მშობლებთან ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი სკოლაში ავადობის გამო არ დადის, მოსწავლეთა ნაწილის გაცდენები კი, პოსტგრიპულ პერიოდს უკავშირდება. კერძოდ, პრევენციის მიზნით, იმ მოსწავლეების სკოლაში გაშვებას, რომლებიც გამოჯანმრთელდნენ, მშობლები ერიდებიან. დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციით, იმ სკოლებში, სადაც ავადობის გამო გაცდენების რაოდენობა 20%-ს აღემატება, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება პრევენციის მიზნით, 3 დღით სასწავლო პროცესის შეჩერებაზე. გაცდენილი საათები კი, შაბათი დღეების ხარჯზე ანაზღაურდება.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №1-1/557 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2 ზოლიანი თბილისი-რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I-III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 – კმ 10+ 800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოვებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივიკვეთი 4 ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 – კმ 10+800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(LARP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა ,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის №1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ.

2015 წლის 31 დეკემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/5567 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“,** რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 - კმ 10+800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება შემდეგი უძრავი ქონება:

1. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი – №01.18.12.011.083, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი 669კვ.მ; მესაკუთრე ნოდარ აგიტიანი (პ/ნ 01016005605). მის. უძრავი ქ. თბილისი, მარნეულის ქუჩა №10.
2. უძრავი ქონების ძველი საკადასტრო კოდი – №01.18.12.022.039 საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2212კვ.მ-იდან ნაწილი – 128კვ.მ, მესაკუთრეები(თანასაკუთრება) ნანა ყვავილაშვილი (პ/ნ 01016007198) და ციცინათელა ყვავილაშვილი (პ/ნ 01016010422), მის. ქ. თბილისი, მარნეულის ქუჩა №21;
3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 01. 18.12.022.029, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი – 1487კვ.მ; მესაკუთრეები (თანასაკუთრება): ემილ მანუკიანი (პ/ნ01016007083) და ლერი მანუკიანი (პ/ნ 01016010650). მის. ქ. თბილისი, მარნეულის ქუჩა №33.
4. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 81.05.12.244, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი – 500კვ.მ; მესაკუთრე ელიკო გუბეშვილი (პ/ნ 01016006618), მის. გარდაბანი, სოფელი ფონიჭალა;
5. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 81.05.11.133, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი – 3501კვ.მ; მესაკუთრე შპს „ემ.ტე.ჯი - მოტორსი“ (ს/კ 206330825) – მის. ქ. თბილისი, სოფელი ფონიჭალა;

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ(საქალაქო)სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

◎ ჩოგბურთი

გორგოძეს მხარი შაფათავამაც აუბა

საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა ფედერაციის თასის I ჯგუფის ევრო-აფრიკული ზონის საწყის მატჩში სამხრეთ აფრიკას საქმე ვადაზე ადრე მოუმთავრა.

ქართველი ჩოგბურთელები შეხვედრაში 2:0 დაწინაურდნენ და წყვილთა დუელს აზრი დაუკარგეს. პირველ მატჩში ეკატერინე გორგოძემ (327-ე რეიტინგში) მადრი ლერუს (707-ე) 6:3, 6:1 სძლია, მცირე ხანში კი მას მხარი სოფო შაფათავამაც (226-ე) აუბა და ჩანელ საიმონსს (317-ე) 7:5, 6:4 მოუგო.

შეგახსენებთ, რომ I ჯგუფის 14 ნაკრები ისრაელის ქალაქ ეილატშია შეკრებილი და ორ ოთხგუნდიან და ორ სამგუნდიან ჯგუფშია გადანაწილებული.

ტურნირის რეგლამენტის თანახმად, A ჯგუფის (შვედეთი, უკრაინა, პორტუგალია) გამარჯვებული ნახევარფინალში C ჯგუფის (ხორვატეთი, თურქეთი, ესტონეთი, ისრაელი) უძლიერეს ნაკრებს შეხვდება.

თავის მხრივ დაწყვილდებიან B (დიდი ბრიტანეთი, საქართველო, სამხრეთ აფრიკა) და D (უნგრეთი, ბელგია, ბულგარეთი, ლატვია) ჯგუფის საუკეთესო გუნდები. ამ ბრძოლებში გამარჯვებული 2 ნაკრები კი ფედერაციის თასის მსოფლიო ჯგუფის პლეი-ოფში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

ისიც ვთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნაკრები ისვენებს, ხოლო ხვალ უმთავრეს კონკურენტ დიდ ბრიტანეთს დაუხვდება. სავარაუდოა, რომ B ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობას სწორედ ეს დაპირისპირება გაარკვევს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

მიზანი უცვლელი რჩება

6 თებერვალს მორაგბეთა ერთა თასის 2016 წლის გათამაშება იწყება. უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრები პირველ ტურში შინ გერმანიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

„ბორჯღალოსნებმა“ მთავარი მწვრთნელის – ახალზელანდიელი მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ სასტარტო პაექრობისთვის მზადება ასეთი შემადგენლობით დაიწყეს: მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“), კარლენ ასეიშვილი („ბრივი“), შალვა მამუკაშვილი („გლაზგო“), ზურაბ ჟვანია, გიორგი მელიქიძე (ორივე – „სტად ფრანსე“), ანტონ ფეიქრიშვილი („ბაიონი“), გიორგი ნემსაძე („ტარბი“), გიორგი ჩხაიძე („ლილი“), ნოდარ ჭეიშვილი („ლელო“), გიორგი თხილაიშვილი („ბათუმი“), საბა შუბითიძე („აკადემია“), ლაშა ლომიძე („ბეზიე“), შალვა სუთიაშვილი („ანგულემი“), გიორგი მჭედლიშვილი („ჯიქი“), ვასილ ლობჟანიძე („არმაზი“), გიორგი ბეგაძე („ყოჩები“), ვაჟა ხუციშვილი („ლოკომოტივი“), ლაშა ხმალაძე („ლელო“), ლაშა მალაღურაძე („ყოჩები“), რეზო ჯინჭველაშვილი („აია“), მერაბ შარიქაძე („ორიაკი“), დავით კაჭარავა („ენისეი“), თამაზ მჭედლიძე („აჟენი“), ალექსანდრე თოდუა („ლელო“), გიორგი ფრუიძე („აია“), გიორგი აფციაური („არმია“), მურაზ გიორგაძე („არმაზი“), მერაბ კვირიკაშვილი („ლელო“), ბექა წიკლაური („ლოკომოტივი“). შარშან საქართველოს ნაკრების მესვეურები შეუთანხმდნენ „ტულონს“, რომ მსოფლიო თასის გათამაშებისას ფრანგები კლუბში სათამაშოდ მამუკა გორგოძეს, ლევან ჩილაჩავასა და კოტე მიქაუტაძეს არ გამოიძახებდნენ. სანაცვლოდ შეჰპირდნენ, ამ სამეულს ერთა თასის სამ მატჩში არ უხმობდნენ. ამიტომაც არ არიან ისინი განაცხადში.

საქართველოს ნაკრებმა შარშან მსოფლიოს თასზე მოგებული ორი მატჩით 2019 წლის მსგავსი შეჯიბრების საგზური გაინაღდა, ამიტომ ერთა თასის გათამაშებამ ქართველი მორაგბეებისთვის საკვალიფიკაციო ღირებულება დაკარგა, მაგრამ, როგორც მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, ჩვენების მიზანი თამაშის ხარისხის ამაღლება და ყველა მატჩზე მოსაგებად გასვლა იქნება. „იაპონიაში იმისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ 2023 წლის მსოფლიო თასზე ავტომატურად მოვხვდეთ, – თქვა ჰეიგმა. – 2019 წელს ასევე გვსურს, მეოთხედფინალში გავიდეთ. საამისოდ ბევრი უნდა ვიშრომოთ. გვინდა, რომ ერთა თასზე მოგებების სერია განვაგრძოთ, სანახაობრივი რაგბი ვითამაშოთ და ნაკრებში ახალგაზრდა მოთამაშეები გამოვცადოთ“.

6 თებერვალი. ერთა თასი. საქართველო-გერმანია, რუსეთი-ესპანეთი, რუმინეთი-პორტუგალია.

ლექსო ციინცაძე

◎ ხელბურთი

IHF/EHF ქალთა თასის მონაწილეები ცნობილია

8-13 მარტს თბილისის ახალ სპორტის სასახლეში იმართება IHF/EHF ქალთა თასი ხელბურთში. ევროპის ხელბურთის ფედერაციამ დაადგინა მონაწილეთა სია. თბილისში ითამაშებს 8 ნაკრები: ბელგია, ლატვია, ფარერები, საქართველო, კვიპროსი, მალტა, ალბანეთი და სომხეთი.

ტურნირს მსოფლიოსა და ევროპის ხელბურთის ფედერაციები 2011 წლიდან ატარებენ განვითარებად ქვეყნებს შორის. ეს შეჯიბრება რიგით მეოთხეა. თბილისში გაირკვევა ევროპის საუკეთესო გუნდის ვინაობა და ის 2017 წელს ითამაშებს ინტერკონტინენტალურ თასზე, სადაც რეგიონულ კონფედერაციებს შორის გამარჯვებულები გამოვლენ.

მონაწილეთა ასაკობრივი კატეგორიაა 1997 წელს და გვიან დაბადებულები. ევროპის ხელბურთის ფედერაციამ მოწვევა გაუგზავნა 22 ქვეყანას, მიიღო 12 განაცხადი და აქედან ამოარჩია 7 მონაწილე, ხოლო ტურნირის მასპინძლად საქართველოს ხელბურთის ფედერაცია 2015 წლის ნოემბერში დასახელდა.

იმ 7 გუნდს შორის, რომელიც თბილისში ჩამოვა, ალბათ უძლიერესია ფარერის კუნძულების ნაკრები. 2015 წელს ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე (1998-99 წლებში დაბადებულები) ფარერების გუნდმა დაამარცხა ისლანდია 25:24, თუმცა, ფინალურ ტურნირზე ვერ გავიდა, რადგანაც ორი დანარჩენი მატჩი წააგო – ჩეხეთთან 21:25 და რუსეთთან 15:23.

ამავე ტურნირში თამაშობდა ლატვიაც (15:46 ხორვატეთთან და 31:34 ბელარუსთან), ხოლო ბელგიას, კვიპროსს, მალტას, ალბანეთსა და სომხეთს ევროპის ჩემპიონატის კვალიფიკაცია არ უთამაშიათ. რაც შეეხება ევროპის შარშანდელ 19-წლამდელთა ჩემპიონატს (1996-97 წლებში დაბადებულები), აქ ითამაშა მხოლოდ ფარერებმა და სამივე მატჩი წააგო (ლიტვა 20:33, ჩეხეთი 18:26, ნორვეგია 16:45).

საქართველოს ნაკრებს ორჯერ უთამაშია მსგავსი კატეგორიის ტურნირებზე – 2002 და 2006 წლებში, როცა EHF ატარებდა ჩელენჯ ტროფის, ოლონდ – ეროვნული ნაკრებების დონეზე.

2006 წელს ბოსნიაში საქართველოს ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა რვა გუნდში (ჯგუფში ინგლისი 34:12, ალბანეთი 61:1, ფარერები 20:40, ნახევარფინალში ბოსნია 16:49, მესამე ადგილისთვის კვიპროსი 18:23). 2002 წელს ტურნირი ბაქოში გაიმართა და საქართველოს ნაკრები მეხუთე იყო 6 გუნდში (ჯგუფში: მოლდოვა 28:24, აზერბაიჯანი 15:34, საბერძნეთი 16:27, ისრაელი 23:29, ბელგია 15:26, მეხუთე ადგილისთვის: მოლდოვა 35:18).

2006 წლის შემდეგ ქალთა გუნდი აღარ გვყოლია იქამდე, სანამ თბილისმა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის უფლება არ მოიპოვა. ჩვენს გუნდს, სადაც ძირითადად 1998-99 წლებში დაბადებული გოგონები თამაშობენ, უკვე საკმაოდ სერიოზული გამოცდილება დაუგროვდა. მართალია, ევროპის 17-წლამდელთა კვალიფიკაციაზე ქუთაისში, ძალიან ძლიერ გუნდებთან დიდი სხვაობით წავაგეთ (ნორვეგია 20:41, ჰოლანდია 22:43, ლიტვა 20:39. 2015 წლის მარტი), მაგრამ უკვე აგვისტოში ოლიმპიურ ფესტივალზე გვესტუმრა ევროპის 7 უძლიერესი გუნდი, ხოლო თამაშის ხარისხი ბევრად უკეთესი იყო (გერმანია 25:30, რუმინეთი 24:32, მონტენეგრო 15:26, რუსეთი 16:34, ჩეხეთი 18:44).

საქართველოს გოგონათა ნაკრები ოლიმპიური ფესტივალის შემდეგ სერიოზულად ემზადება და ახლახან ტურნე გამართა ისრაელში, სადაც ორი წლით უფროს, ისრაელის ოცწლამდელთა ნაკრებს სამმატჩიანი სერია მოუგო – 32:29, 30:30, 26:24. ნაკრების სტაფში შედიან გიორგი გვაზავა (მთავარი მწვრთნელი), მწვრთნელები ოლექსანდრ გურსკი და ინა ჭკუასელი, მეკარეების მწვრთნელი ამირან კომახიძე, ფიზმომზადების სპეციალისტი მამია ტულუში და გუნდის ლიდერი ლანა მარგიანი, ხოლო ნაკრებს წარმოადგენენ ხუთი კლუბის – „ყვარლის“, „ფოთის“, „წყალტუბოს“, თბილისის „მამულისა“ და „პეგასის“ მოთამაშეები. გუნდი გეგმავს, რომ 8-13 მარტს თბილისში მაქსიმალური შედეგისთვის იბრძოლოს.

IHF/EHF ქალთა თასის წინა, მესამე გათამაშების ევროპული ტურნირი საბერძნეთში 2014 წელს მოიგო ბულგარეთის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ისრაელი 34:23, მაგრამ უკვე ინტერკონტინენტალური თასის ფინალში 2015 წელს საკუთარ მოედანზე დამარცხდა გვადელუპესთან 22:26 და მეორე ადგილზე გავიდა. მესამე იყო უზბეკეთი, მეოთხე – სენეგალი, მეხუთე – ახალი ზელანდია.

მეორე გათამაშება 2013 წელს ბულგარეთმა მოიგო, ხოლო სადებიუტო ტურნირის გამარჯვებული 2011 წელს იყო ფინეთი. პირველი სამი ტურნირი ეროვნული ნაკრებების დონეზე იმართებოდა. თბილისის ტურნირის ფორმატი ტრადიციულია – ორი ოთხგუნდიანი ჯგუფი, ნახევარფინალები და ფინალი. წილისყრა მოგვიანებით გაიმართება.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

რონალდინიო ჩინეთში მიდის

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა რონალდინიო გაუჩომ „ლესტერის“ შეთავაზება არ მიიღო. Mundo Deportivo-ს ინფორმაციით, სამხრეთამერიკელმა პრემიერლიგაში ასპარეზობას ჩინეთში თამაში არჩია.

„მელიების“ დამრიგებელი კლაუდიო რანიერი ფიქრობს, რომ ბრაზილიელი გუნდს დაეხმარება, თუმცა „ბარსელონას“ ყოფილ ფეხბურთელს კარიერის გაგრძელება ჩინეთში სურს. აზიური ქვეყნის ჩემპიონატი უკვე ძლიერდება და კლუბები ფეხბურთელთა შესაძენად სოლიდურ თანხებს გასცემენ. ჯექსონ მარტინესში „გუანჯოუმ“ 42 მილიონი ევრო გადაიხადა და ალექს ტეიშეირას ყიდვას 50 მილიონად ცდილობს. შესაძლოა, რონალდინიოც უახლოეს მომავალში ამავე კლუბში აღმოჩნდეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ანა ივანოვიჩი და ვარსქენ პიტიახში

პოპულარული სერბი მეჩოგნე ანა ივანოვიჩი – ეს ამოდენა გაქანებისა და პოპულარობის მქონე ქალი დამდგარა, პირი მოუღია და საქვეყნოდ იძახის, ჩოგბურთი ჩემთვის, უპირველესად, შემოსავლის წყარო იყო, ახლაც ასეთად რჩება და ვერ ვხვდები, ჩოგნის ირიბად ქნევა ვინმეს ჰობი რატომ უნდა იყოსო.

პირი ქვისკენ გვიქნია და ასეთ დროს ცოტა რთულია რაიმე უხიაგი არ წამოგცდეს, რადგან სხვა თუ არაფერი, როდესაც ცნობილი სპორტსმენი ოდენ მომხვეჭელობის სენითაა შეპყრობილი, როგორ გინდა სოფელ გამდლისწყაროს ქალ ფეხბურთელთა მარადის ძლეული გუნდის წევრები დაარწმუნო – სპორტი პირველ რიგში აზარტი და ჯანსაღი ცხოვრების წესიაო.

ისე, ჩოგნის ქნევა რომ ანა ივანოვიჩს გამოსდის – ეგეთი უნდა, მაგრამ რად გინდა? არცთუ ცხონებულმა ვარსქენ პიტიახშმაც გემრიელად იცოდა თავისი წილი სამთავროს მართვა, მაგრამ იმაზე წამხდარი და ჩარუმა კაცი მეორე არ დადიოდა მთელს დუნიაზე. ასტამი იმასა და ოხრობა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კაკალ გულში

რაღაც ახალი იწყება?

● ხალხო, რამდენიმე ჰექტარი მიწა რომ გამოვყოთ, კაი გვარიანი ყორეთი რომ შემოვრაგოთ და ეს სასამართლოები, მარეგულირებლები, საბანკო სექტორი, სამოქალაქო სექტორი და პოლიტიკური ორგანიზაციები იქ რომ ჩავასახლოთ, ურიგო საქმე არ იქნება, ოღონდ მიწას ვინ გამოყოფს, აი, ესაა საკითხავი!

ღობის მშენებლობაზე მზად ვარ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვიმუშაო!!!

● გადაიარეს ქურქებმა, ჩვენი ზამთრისთვის ურგებმა, გადაიარეს გრიპებმა, გადაიარეს ჰიპებმა, გადაიარეს ტიპებმა... რაღაც ახალი იწყება.

● ძალიან მიხარია, რომ უცნობი ახალი ფორმატით ბრუნდება „მაესტროში“, ეს იბერია ჯერ მაინც ვერ გაბრწყინდა, ევროპაც ვერ გავაკვირვეთ და ტელევიზორს მაინც შევხედავთ, ცოტა გულს გადავაყოლებთ!

● „პედერასტები მოდიან“! — ნამეტანია, მაგრამ მთლად „გვახარია-გვარამია-გაბუნიას“ უხარია“ — ასეთი საქართველო არ მინდა!!!

● ჩემი აზრით, მურუსიძის საკითხი შეიძლება ჩვენი სახელმწიფოსთვის საბედისწერო გამოდგეს. სახელმწიფო ადამიანური სამართლის განხორციელების ინსტრუმენტია, რა თქმა უნდა, უფრო მაღალი სამართალიც არსებობს, ზნეობრივი, ანუ ღვთის კანონი, მგონი დავრჩით ისევ მხოლოდ ღვთის ანაბარა. ისე, მურუსიძისმაგვარების სამართალს ასე სჯობს, მაგრამ მაშინ რად გვინდა ეს სახელმწიფო, პოლიციით, ჩინოვნიკებით, სასახლეებით?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის მე-6 გვერდზე რუბრიკით „ჟურნალისტური გამოძიება“ გამოქვეყნებულ მასალაში **(„ვასილ ბოლაშვილის „მკვდარი სულები“, ანუ „რატომ აფარებს ხელს პროკურატურა დამნაშავეებს?!“)** გაპარულია ორი მცირე უზუსტობა: 1. წერილის მესამე ნაწილში პირველი სვეტის ბოლო სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: **„ხელფასის სახით იყო გაცემული 22 ათას ლარზე მეტი“;** 2. წერილის მესამე ნაწილის მეორე აბზაცის მესამე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: **„კოდექსის მე-100 და მე-101 მუხლებით“...**

ეპიტაფია

ალდე კაკაბაძე

ქართველ მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა უაღრესად ნიჭიერი ხელოვანი, საქართველოს სახალხო მხატვარი, ქალბატონი **ალდე კაკაბაძე**. იგი დაიბადა 1932 წელს, ქ. თბილისში ცნობილი პოეტისა და შემოქმედის, ქალბატონ მაყვალა მრევლიშვილის ოჯახში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის კერამიკის განყოფილება და აქტიურად ჩაება ჩვენი ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებაში.

ქ-ნი ალდე ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას, სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენებზე. აღსანიშნავია მხატვრის მცირე ზომის კერამიკული ქანდაკებები ქართული ხალხური ზღაპრების თემაზე, ასევე „ფერხული“, „მარანი“ — შებოლილი თიხა და დოქი, „საზეიმო“ ფიალებით, დეკორატიული დოქი „ხარისთვალა“ — თიხა, აღდგენითი ჭიქური, თასი „საახალწლო“ შებოლილი თიხა, „ხევსური გოგონას პორტრეტი“, „ქართველი ქალის პორტრეტი“, „ყივილი“ — მარანი „საქართველო“ ქვის მასა, მშრალი ჭიქური, დეკორატიული ფორმები „კლდეები“, „მიტოვებული სოფელი“, ლარნაკი — „მზის ქვეშ“, მარანი „ორნი“, თასი „საახალწლო“ და მრავალი სხვა.

მხატვარი მონაწილეა არაერთი ათეული სამხატვრო გამოფენისა როგორც ჩვენს ქვეყანაში ასევე მის ფარგლებს გარეთ. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები ორგანიზებული იყო რუსეთში, დანიაში, საფრანგეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, შვეიცარიაში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, კანადაში, პოლონეთში, გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, მექსიკაში, ბელგიაში, ინდოეთში, თურქეთში, ეგვიპტეში, ისლანდიაში, ნორვეგიაში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენებისა. მისი ნამუშევრები დაცულია აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების, მოსკოვის კერამიკის, ბერლინის მსოფლიოს ხალხთა კერამიკის, პრაღის კერამიკის საერთაშორისო, ბუხინის თანამედროვე კერამიკის, შიკლოს თანამედროვე კერამიკის, კოპენჰაგენის მსოფლიოს ხალხთა კერამიკის, ჩიკაგოს კერამიკის საუკეთესო ნამუშევრების, ოსლოს მსოფლიოს ხალხთა კერამიკის მუზეუმებში.

ქ-ნი ალდე მონაწილეობდა მხატვრული კერამიკის საერთაშორისო სიმპოზიუმებში — შიკლოში, ბუხინში, ქალაქ კეჩკემეტის საერთაშორისო სემინარებში; ვალორისის მხატვრული კერამიკის ბიენალეში, ფაიენცას გამოფენა-კონკურსში. მისი ნამუშევრები ყოველთვის იპყრობდა სპეციალისტთა ყურადღებას. აღინიშნებოდა პრემიებით, დიპლომებითა და სიგელებით.

ქ-ნი ალდე დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო დიპლომით კერამიკული ნამუშევრების სერიისათვის და საქართველოს მხატვართა კავშირის მედლით „წლის საუკეთესო კერამიკული ნამუშევრებისათვის“. სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის მას მიენიჭა „საქართველოს სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდება.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი, რომლის ხსოვნა დიდხანს დარჩება ოჯახის წევრთა, მეგობრებისა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემელთა ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობა

◎ ამერ-იმერი

პოლიციელებს 25 ახალი ავტომანქანა გადაეცათ

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის გადაწყვეტილებით შს სამინისტროს რეგიონის პოლიციის დეპარტამენტებს სამინისტროს კუთვნილი 25 ახალი ავტომანქანა გადაეცათ.

რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების ავტოპარკი მაღალი გამავლობის „ფორდ რეინჯერის“ მოდელის ავტომანქანებით შეივსო. შს მინისტრის პირველმა მოადგილემ ბესიკ ამირანაშვილმა ავტომანქანები რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლებს პირადად გადასცა. მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება სამინისტრომ რეგიონებში სამართალდამცველების სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე მიიღო. ახალი ავტომანქანები რთული რელიეფის მქონე ადგილებში, განსაკუთრებით, მაღალმთიან რეგიონებში, პოლიციელებს გადაადგილებას გაუადვილებს, მათ ოპერატიულ მუშაობას კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვას.

მაშველებმა პოლონელი ტურისტები გადაარჩინეს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ გუდაურის სამაშველო სამსახურმა 2 პოლონელი ტურისტი გადაარჩინა, რომლებიც გუდაურში, „კუდებზე“ სრიალებდნენ.

ტურისტებმა თვითნებურად გადაუხვიეს სასრიალო ტრასას და დაიკარგნენ. მათ შეძლეს 112-ში დარეკვა, რასაც მოჰყვა გუდაურის სამაშველო სამსახურის მყისიერი რეაგირება.

მაშველებმა დაკარგული ტურისტები გუდაურიდან 30 კილომეტრში, ხადას ხეობაში, სოფელ წკერესთან იპოვეს და უსაფრთხოდ გადმოიყვანეს დაბა გუდაურში.

ვირუსული ინფექციით აჭარაში ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა

სავარაუდოდ, ვირუსული ინფექციით აჭარაში ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით სინჯი უკვე აღებულია და რამდენიმე დღეში გაირკვევა, უკავშირდება თუ არა ქალის გარდაცვალება H1N1 ვირუსს, ე.წ. ღორის გრიპს.

აჭარის მასშტაბით, H1N1-ის ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურებული 31 შემთხვევაა დაფიქსირებული, აქედან 9 პაციენტი მკურნალობას აგრძელებს, ხოლო ორი შემთხვევა ლეტალურად დასრულდა.

მოზარდი მეზობელმა სანადირო თოფით დაჭრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კახეთში, 14 წლის გოგონას ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრაში ეჭვმიტანილი მამაკაცი დაკავებულია.

მომხდარზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით არის დაწყებული. შემთხვევა სოფელ მატანში მოხდა.

მოზარდს ახმეტის რეფერალურ საავადმყოფოში გადაუდებელი ოპერაცია უკვე ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. არ არის გამორიცხული მოზარდის კახეთიდან თბილისში გადმოყვანა გახდეს საჭირო. შემთხვევას თვითმხილველი არ ჰყავს.

გავრცელებული ინფორმაციით, მას მეზობელმა, 22 წლის მამაკაცმა სანადირო თოფიდან ესროლა.

საბაჟო გამშვებ პუნქტებზე უკანონო მედიკამენტები შემოჰქონდათ

საბაჟო გამშვები პუნქტის, „სარფის“ კონტროლის ზონაში მებაჟე ოფიცრებმა მედიკამენტის უკანონო შემოტანის მცდელობა გამოავლინეს. მათ 150 აბი ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი Actifed აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე რ.კ.-ის კუთვნილი ბარგის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად აღმოაჩინეს.

საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა საქართველოს შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს კახაბრის პოლიციის განყოფილებას.

მსგავსი ფაქტი გამოვლინდა 31 იანვარს, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სადახლო-საავტომობილო“. საქართველოს მოქალაქე გ.მ.-ისა და მისი ავტომობილის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, მებაჟე ოფიცრებმა ავტომანქანაში არადეკლარირებული ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი „პირალგინი“ (40 აბი) აღმოაჩინეს.

ლუსია და შორენა მჭედლურები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მაია ნამგალაძეს დედის, უსაყვარლესი და უსათნოესი ქალბატონის

მაყვალა ახალკაცის

გარდაცვალების გამო.

შვილი ზურაბ ჭინჭარაძე, რძალი ვალესკა ვან დეიკი, შვილიშვილი ლუკა, და ნინო ოჯახით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

გიორგი ჭინჭარაძე

დაკრძალვა 4 II, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე (ავლაბარი). გამოსვენება რესპუბლიკური საავადმყოფოს წმ. პანტელეიმონის ეკლესიიდან, 14 სთ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87

თუ საქმე ვერ დაიმორჩილე, ღლბალი ვერაფერს გიშველის

TSIKOLIA – ქართველი, რომელიც შვეიცარიაში თავისი სახელობის საათს უშვებს

ექსკლუზიური ინტერვიუ ქართველ დიზაინერ ზვიად ციკოლიასთან

სამრეწველო და სატრანსპორტო დიზაინერი ზვიად ციკოლია საერთაშორისო ბაზარზე ცნობილია, როგორც ავტომობილების – „პეჟო 1007“, „ბუგატი“, „რუსო-ბალტიკი“, ჯავშანმანქანა „დიდგორი“ და სხვა სამრეწველო გამორჩეული დიზაინების ავტორი. ასევე, მის სახელს უკავშირდება საკვები პროდუქტების შეფუთვა, ალკოჰოლური სასმელების ბოთლები, ავეჯი, უნიფორმა, ველოსიპედი, თვითმფრინავი და ბოლოს, შვეიცარიაში წარმოებული საათების ხაზი, რომელსაც ქართული გვარი „ციკოლია“ დაჰყვება ბრენდად.

დიზაინერმა ყურადღება სხვადასხვა გამოფენებსა და კონკურსებში მონაწილეობით მიიპყრო. დღეს ზვიად ციკოლია უმსხვილეს ბრენდებთან თანამშრომლობს და 2011 წლიდან შვეიცარიაში აწყობილ, საკუთარი სახელობის საათს უშვებს, რომლის პოპულარობაც თვალშისაცემია და მისი შეძენა თბილისშიცაა შესაძლებელი. რაც მთავარია, ის საქართველოდან მუშაობს. დიზაინერს ჰყავს მეუღლე, მარინა ხორავა და ორი შვილი, 16 წლის ბუბა და 15 წლის ივა.

ზვიად ციკოლია, როგორც ყველა წარმატებული ადამიანი, საკუთარ გამოცდილებასა და ხედვას გულწრფელად აზიარებს. „მეტრონომთან“ ინტერვიუში დიზაინერმა წარმატების საიდუმლო გაგვიმხილა:

– როცა ისტორიის დასაწყისს იხსენებთ, აღნიშნავთ, რომ ბავშვობიდან გაინტერესებდათ საათები. სწორედ ამიტომ, შვეიცარიაში წახვედით, დადეთ კომპანიებთან ხელშეკრულება და დაიწყეთ საქმიანობა. ეს ყველაფერი ამ გადასახედიდან მარტივად ჩანს, თუმცა, რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო? ამ დროს, როგორც წესი, ასახელებენ იღბალს, შრომისმოყვარეობას და ბევრ სხვა მიზეზს. თქვენ რას იტყვით – ბავშვობის ინტერესის ახდენასა და მიღწევაში რა დაგეხმარათ?

– რაც შეეხება იღბალს, მე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ ამაზე. რთულია, იღბლის იმედად აკეთო საქმე. საქმე უნდა დაიმორჩილო ყველანაირად. შენ უნდა იყო მისი მბრძანებელი და არა ის. უნდა იმოძრაო მიზნისკენ და არ უნდა უღალატო საკუთარ თავს, შენ სიყვარულს და ინტერესებს.

ჩემთვის ბავშვობის პერიოდი ოცნებების პერიოდია, სიყმაწვილის ასაკიდან კი დავიწყე ამ ოცნებების რეალობაში მოყვანა.

– რა გახდა თქვენ მიერ შექმნილი საათის დიზაინების წარმატების მთავარი მიზეზი და შესაბამისად, რა არის ნებისმიერი პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე წარმატებისთვის აუცილებელი ნიშანი?

– სხვათა შორის, როცა

ვიწყებდი საათების წარმოებას, ბევრი მეუბნებოდა, რომ ამ ბიზნესში ძალიან რთულია რაიმე სიახლის შექმნა, რომ ბაზარზე უფრო მეტი შემოთავაზება იყო, ვიდრე მყიდველი და ამიტომ თავი დამენებებინა ამ უაზრო წამოწყებისთვის. თუმცა, მე მაინც ჩემ აზრზე ვიყავი, რომ შეიძლება ისეთი დიზაინის შექმნა, რომელიც ადამიანს გულგრილს ვერ დატოვებს. ამას ემატება შვეიცარული ხარისხი და ფასი. ეს ყველაფერი საბოლოოდ თავის შედეგს იღებს. მე ვქმნი ემოციას და არა უბრალოდ დროის მაჩვენებელს.

დღეს, დროს უთოც აჩვენებენ, მობილურზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

– როცა ეს საქმე დაიწყეთ, რა იყო თქვენი უმთავრესი მიზანი?

– გაგვატარეთ თუ შეიძლება! აი, ეს იყო ჩემი მიზანი. ეს იმ კომპანიებს, რომლებიც 100-წლიან ისტორიას ითვლიან...

– თუ შეიძლება, თუნდაც მოკლედ აღგვიწეროთ, მუშაობის პროცესი – რა დროს უთმობთ და ამ დროს, რა არის თქვენთვის უმთავრესი?

– დროს იმდენს ვუთმობ, რამდენსაც მოითხოვს. ზოგჯერ ძალიან დამღლელია, რადგან გიწევს უამრავ დეტალზე ფიქრი. წარმოებაზე მორგება და ფასის და დიზაინის თანხვედრაში მოყვანა, რაც ძალიან დიდ ენერგიას, ცოდნასა და დროს ითხოვს.

ყველაფერი ინსპირაციით იწყება. როდესაც ინსპირაცია მოდის, შემდეგ ვიწყებ ესკიზების კეთებას. შემდეგ ნახაზებს და ა.შ.

– რატომ იყენებთ ინსპირაციისთვის საავტომობილო, საავიაციო და საზღვაო თემებს?

– არ გაგიკვირდებოდათ, მაგალითად, ჩემი ინტერესი არა თვითმფრინავების, მანქანების და სამხედრო ტექნიკის მიმართ იყოს, არამედ თოჯინა ბარბის, ან ბრჭყვიალა ბიჟუტერიის? თვითმფრინავები, მანქანები და სამხედრო ტექნიკა ყველა მამაკაცის ინტერესის სფეროა.

– შვეიცარიაში წარმოებული საათები საკუთარი გვარით, თქვენი სამომავლო გეგმები შეიძლება უფრო მაღალი მწვერვალის აღებას უკავშირდება. და საერთოდ, გეგმავთ წინასწარ წარმატების ეტაპებს და სწორია ამგვარი მიდგომა საქმესთან?

– გულახდილად გეტყვით, ვისურვებდი, საქართველომ შეძლოს ჩემი საათების წარმოება. სხვათა შორის, ეს გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე – შვეიცარიაში წარმოება. ჩემი მიზანიც საქართველოში ამ დარგის აღორძინებაა. იმედია, ეკონომიკური გარემო და პოლიტიკური მდგომარეობა მალე მომცემს ამის საშუალებას.

მანა ნოდია

◎ ცინცხალი ანეკდოტები

გურული ღამით საშინელ სეტყვაში მოყვა, თავი კოპებით აქვს სავსე. ამ დროს გაიელვებს.

– ხო, ხო, გოუნათე, არ ამაცილოს!

* * *

გურული ქუჩაში დგას უსაქმურად, ხედავს პოლიციელს თხა მოჰყავს, დაინტერესებული გურული მიმართავს: სად მიგყავს მაგი ძაღლი? პოლიციელი გამწყრალი ხმით მიმართავს: აგი ძაღლი კი არა, თხაია!

– მერე მე თხას ვეკითხები, შენ კი არა.

* * *

გურული ორმოში ჩავარდება, ცოტა ხანში ვიღაცამ გამოიარა და ჩასძახა – - დამელოდე, თოკს მოვიტან და ამოგიყვან. – ახლა ამას უცადე კიდო! დაიჩივლა გურულმა.

* * *

გურულ მოსწავლეს ეკითხებიან:

– დაასახელეთ სამი მიზეზი რისთვისაც გიყვართ სკოლა.

– ივნისი, ივლისი, აგვისტო...

* * *

გურულთან სტუმრები არიან და კარგად იქეიფებენ. მასპინძელი ცოლს ეუბნება. ახლა სტუმრებს რამე გამაგრილებელი მოუტანეო და... ცოლი ფანჯარას გამოაღებს.

* * *

გურული ეუბნება მეორე გურულს:

– გაიგე ბიჭო, პიანინო 50 ლარი ღირს!

– არა, მაგი ნამდვილად ტყუილი იქნება.

– ტყუილია, მაგრა ხო იაფია?

* * *

– **გურული**: მიდი, შვილო, ბებოსთან, რაცხა გასახარელი უთხარი, ფინთათაა მაგის საქმე.

– ბებო, პანაშვიდზე „4 გიამ“ რო გიმღეროს, გეგეხარდება?

* * *

– ძაბმა, რა უყავი შენი ძაღლი?

– მოვკალი!

– რათა, შე კაცო?

– აფერისტებს რომ დაინახავდა – უყეფდა!

– მერე, შენ რა გინდოდა, რას ერჩოდი?

– მერე მეც დამიწყო ყეფა!

* * *

გურული ბავშვი წევს აკვანში.

უცებ გამოიღებს საწოვარას პირიდან და გაბრაზებული იყვირებს:

– გადამდგით ვინცხამ, მომადგა მზეი!

* * *

ერთი გურულის გასვენებაში იმდენი ხალხი მივიდა რო, მეორე მიცვალებული დაამატეს...

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!